ეროვნული ბიბლიოთეკა

კანონთა და განკარგულებათა კრებული

ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის მუშათა და გლეხთა მთავრობისა.

1925 წლის აგვისტოს 15.	№ 7. განყოფილება პირველი	გამოცემული ამიერკავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული საკანონმდებლო კომისიის მიერ.

შინაარსი:

მუხ. 456 ნუსხა ა/კ. ს. ფ. ს. რ-ს იმ კანონთა, რომელთაც დაჰკარგეს ძალა 1925—1926 წ. ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის დებულების სამოქმედოდ შემოღების გამო.

„ 457. „ა/კ. ს. ფ. ს. რ. ფარგლებში საზღვარგარეთიდან სავალიუტო ფასეულობის შემოტანისა და გატანის წესის“ თაობაზე ა/კ. ცენტრ. აღმ. კო-სა და ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახ. კომის. საბჭოს მიერ 1925 წ. იანვრის 19-ს თარიღით გამოცემული დადგენილების მე-9 მუხ. გაუქმების შესახებ.

„ 458. საწარმავლო ფულით დაკმაყოფილების თაობაზე ა/კ. ცენტრ. აღმ. კომ-ს მიერ 1924 წ. აგვისტოს 8-ს თარიღით გამოცემული დადგენილების ახალი რედაქციის შესახებ.

„ 459. კავკასიის წითელდროშიანი არმიის საარტილერიო, სასროლი და ასაფეთქებელი მასალის საწყობებს ზღუდეთა გვერდით მდებარე მიწის ნაკვეთების სამხედრო დაკვის ორგანოს გამგებლობაში გადაცემის შესახებ.

„ 460. დებულება სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტების გამგებლობაში ქონებული საერთო სარგებლობის საქალაქო და სამაზრო ტელეფონის ქსელის მოწყობისა და შენახვის შესახებ.

„ 461. მეტალის ნაკვეთობაზე ფასების შეცვლის შესახებ.

„ 462. იმ პაპიროსის უკიდურესი საეტიკეტო ფასების შესახებ, რომლისთვისაც აქციზი გადახდილ უნდა იქნეს ორმაგი განაკვეთით.

„ 463. წუნდადებული ნაკეთობის ფასის გადახდის წესის შესახებ.

„ 464. სასოფლო-სამეურნეო გადასახადისათვის სხვა-და-სხვა კულტურის მიწების სახნავზე გადანაცვლის ნორმებისა და ცხვრისა და თხის დაბეგვრის რაიონების შესახებ.

„ 465. დებულებანი ამიერკავკასიისა და რესპუბლიკანური წყალთა მეურნეობის სამმართველოთა შესახებ.

„ 466. სია ნავთის მრეწველობის იმ პროფესიებისა და იმ სამუშაოსი, რომელზედაც 18-ს წლისაზე უმცროსი პირნი არ მიიღებიან.

„ 467. იმ საწარმოთა და კოლექტივთა შესახებ, რომელთაც მოაწყობს შრომის ბირჟის კომიტეტი უმუშევართათვის შრომითი დახმარების აღმოსაჩენად.

„ 468. საშენი წითელი აგურის უკიდურესი საგასაცემო ფასის დაწესების შესახებ.

„ 469. ადგილობრივ და საზღვარგარეთიდან შემოტანილ ჩაიზე საბითუმო და ცალობითი (საეტიკეტო) ფასების დაწესების შესახებ.

მუხ. 470. იმ ქალაქთა ნუსხის შესახებ, რომელთათვისაც ადგილობრივი გადასახადებისა და გამოსაღების უკიდურესი განაკვეთი დაწესებულია გადიდებული რაოდენობით.
„ 471. საჯარდებული საგადანაკვეთო დაზღვევის თაობაზე გამოცემული დეკრეტის შეკვლის შესახებ.
„ 472. ნავთის პროდუქტების ფასების შესახებ.
„ 473. ინსტრუქცია ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოსი „ტერიტორიალური ნაწილების ცვალებადი შედგენილობის წითელარმიელთა და წვევამდედთა შორის წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის შესახებ“ ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ 1925 წ. იანვრის 5-ს თარიღით გამოცემული დადგენილების შეფარდებისათვის.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

456. **ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის იმ კანონთა ნუსხის შესახებ, რომელთაც დაჰკარგეს ძალა 1925—1926 წ. ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის დებულების სამოქმედოდ შემოღების გამო.**

1925—1926 წ. ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის დებულების სამოქმედოდ შემოღების გამო (ს. ს. რ-ების კავშირის კანონთა კრებული 1925 წ. № 31, მუხ. 208) ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ამიერკავკასიის ს. ფ. ს. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ: გაუქმებულ იქნეს შემდეგი საკანონმდებლო აქტები:

ა) ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კ. ს. ფ. ს. რ-ის სახალხო კომისართა საბჭოს 1924 წლის აპრილის 24-ს დეკრეტი—ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ (ა/კ. ს. ფ. ს. რ-ის კანონთა კრებული 1924 წ. № 4, მუხ. 90);

ბ) ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრ. კომიტეტისა და ამიერკავკასიის ს. ფ. ს. რ-ის სახალხო კომისართა საბჭოს 1924 წ. მაისის 21-ს დეკრეტი—ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადისათვის სხვადასხვა კულტურიანი მიწებისა და ოთხფეხი საქონლის სახნავზე გადატანის კოეფიციენტის შესახებ (ა/კ. ს. ფ. ს. რ-ის კანონთა კრებული 1924 წ. № 4, მუხ. 130);

გ) ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრ. კომიტეტისა და ამიერკავკასიის ს. ფ. ს. რ-ის სახალხო კომისართა საბჭოს 1924 წ. მაისის 21-ის დეკრეტი—1924—1925 სასოფლო—სამეურნეო წლის ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის განაკვეთის შესახებ (ამიერკავკასიის ს. ფ. ს. რ-ის კანონთა კრებული 1924 წ. № 4, მუხ. 142);

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ) ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრ. კომიტეტისა და ამიერკავკასიის ს. ფ. ს. რ-ის სახალხო კომისართა საბჭოს 1924 წ. ივლისის 9-ის დადგენილება—ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის თაობაზე 1924 წ. აპრილის 24-ის თარიღით გამოცემული დეკრეტის მე-2 მუხლის შეცვლისა და დამატების შესახებ (ამიერკავკასიის ს. ფ. ს. რ-ის კანონთა კრებ. 1924 წ. № 5, მუხ. 177);

ე) ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრ. კომიტეტისა და ამიერკავკასიის ს. ფ. ს. რ-ის სახალხო კომისართა საბჭოს 1924 წ. აგვისტოს 14-ის დადგენილება—ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ანარიცხის შესახებ ადგილობრივი საჭიროებისათვის (ამიერკავკასიის ს. ფ. ს. რ-ის კანონთა კრებული 1924 წ. № 5, მუხ. 196);

ვ) ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ მანდარინის პლანტაციის სახნაგზე გადატანის კოეფიციენტის შესახებ 1924 წლის აგვისტოს 8-ს თარიღით გამოცემული დადგენილება (ამიერკავკასიის ს. ფ. ს. რ. კანონთა კრებული 1924 წ. № 5, მუხ. 200) 1-ლი მუხლი;

ზ) ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულ. კომიტეტისა და ამიერკავკასიის ს. ფ. ს. რ-ის სახალხო კომისართა საბჭოს 1924 წლის აგვისტოს 23-ს დეკრეტი—მოსავლიანობის კატეგორიების დაწესების შესახებ (ამიერკავკასიის ს. ფ. ს. რ-ის კანონთა კრებული 1924 წ. № 5, მუხ. 203);

თ) ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრ. კომიტეტისა და ამიერკავკასიის ს. ფ. ს. რ-ის სახალხო კომისართა საბჭოს 1924 წლის აგვისტოს 31-ს დეკრეტი—ერთიანი სასოფლო სამეურნეო გადასახადის განაკვეთის შესახებ 1924—1925 წლისათვის (ამიერკავკასიის ს. ფ. ს. რ-ის კანონთა კრებ. 1924 წ. № 6, მუხ. 206);

ი) ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრ. კომიტეტისა და ამიერკავკასიის ს. ფ. ს. რ-ის სახალხო კომისართა საბჭოს 1924 წლის სექტემბრის 8-ის დეკრეტი—მოსავლიანობის კატეგორიების დაწესების შესახებ დასავლეთ საქართველოსათვის (ამიერკავკასიის ს. ფ. ს. რ-ის კანონთა კრებ. 1924 წ. № 6. მუხ. 209);

კ) ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრ. კომიტეტისა და ამიერკავკასიის ს. ფ. ს. რ-ის სახალხო კომისართა საბჭოს 1924 წ. სექტემბრის 29-ს დადგენილება—საბამბო მეურნეობისათვის 1924—1925 წ. ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გასტუმრების შემსუბუქების შესახებ (ამიერკავკასიის ს. ფ. ს. რ-ის კანონთა კრებული 1924 წ. № 7, მუხ. 232);

ლ) ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრ. კომიტეტისა და ამიერკავკასიის ს. ფ. ს. რ-ის სახალხო კომისართა საბჭოს 1924 წლის ოქტომბრის 3-ის დეკრეტი—ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შეღავათის შესახებ 1924 წ. მოუსავლიანობისაგან დაზარალებული ადგილების მოსახლეობისათვის (ამიერკავკასიის ს. ფ. ს. რ-ის კანონთა კრებ. 1924 წ. № 7, მუხ. 238);

მ) ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრ. კომიტეტისა და ამიერკავკასიის ს. ფ. ს. რ-ის სახალხო კომისართა საბჭოს 1924 წლის ნოემბრის 10-ს დადგენილება—ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ანარიცხის შესახებ ადგილობრივ საჭიროებისათვის (ამიერკავკასიის ს. ფ. ს. რ-ის კანონთა კრებული 1924 წ. № 8, მუხ. 272);

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნ) ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრ. კომიტეტის 1924 წლის ნოემბრის 10-ს დეკრეტი—ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის თაობაზე ამიერკავკასიის ცენტრ. აღმასრ. კომიტეტის მიერ გამოცემული დეკრეტის დამატების შესახებ (ამიერკავკასიის ს. ფ. ს. რ-ის კანონთა კრებული 1924 წ. № 8, მუხ. 276);

ო) ამიერკავკასიის ს. ფ. ს. რ-ის სახალხო კომისართა საბჭოს 1924 წლის ნოემბრის 18-ს თარიღისა და 59 №-ის დადგენილება—ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის მონაკლებათა ფონდის დაწესების შესახებ აზერბაიჯანის ს. ს. რესპუბლიკაში 1924 წ. მოუსავლიანობისაგან დაზარალებული ადგილების მოსახლეობისათვის (ამიერკავკასიის ს. ფ. ს. რ-ის კანონთა კრებული 1924 წ. № 8, მუხ. 281);

პ) ამიერკავკასიის ს. ფ. ს. რ-ის სახალხო კომისართა საბჭოს 1924 წლის ნოემბრის 27-ს თარიღისა და 65 №-ის დადგენილება—ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის მონაკლებათა ფონდის დაარსების შესახებ საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის იმ ადგილების მოსახლეობისათვის, რომელიც დაზარალდა 1924 წ. მოუსავლიანობისაგან (ამიერკავკასიის ს. ფ. ს. რ-ის კანონთა კრებ. 1924 წ. № 9, მუხ. 291);

ჟ) ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრ. კომიტეტის 1924 წლის დეკემბრის 8-ს დეკრეტი—ამიერკავკასიის ცენტრ. აღმასრ. კომიტეტისა და ამიერკავკასიის ს. ფ. ს. რ-ის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის თაობაზე გამოცემული დეკრეტის მე-17 მუხლის დამატების შესახებ (ამიერკავკასიის ს. ფ. ს. რ-ის კანონთა კრებ. 1924 წ. № 9, მუხ. 305);

რ) ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრ. კომიტეტისა და ამიერკავკასიის ს. ფ. ს. რ-ის სახალხო კომისართა საბჭოს 1924 წლის დეკემბრის 19-ს დადგენილება—ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის არაპირიან გადამხდელთათვის დადებული ადმინისტრატიული სასჯელის შესახებ (ამიერკავკასიის ს. ფ. ს. რ-ის კანონთა კრებული 1924 წ. № 9, მუხ. 314);

ს) ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრ. კომიტეტისა და ამიერკავკასიის ს. ფ. ს. რ-ის სახალხო კომისართა საბჭოს 1925 წლის მარტის 30-ს დადგენილება—წითელარმიელთა ოჯახებისათვის დამატებითი შეღავათის მიცემის შესახებ 1924—1925 წ. ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის სფეროში (ა/კ. ს. ფ. ს. რ-ის კანონთა კრებ. 1925 წ. № 4, მუხ. 395);

ტ) ამიერკავკასიის ს. ფ. ს. რ-ის სახალხო კომისართა საბჭოს 1925 წლის აპრილის 2-ს თარიღისა და 17 №-ის დადგენილება—ამიერკავკასიის ს. ფ. ს. რ-ის ტერიტორიაზე 1924—1925 წ. ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გადასახდევინებლად ერთიანი უკიდურესი ვადის დაწესების შესახებ (ამიერკავკასიის ს. ფ. ს. რ-ის კანონთა კრებული 1925 წ., № 4, მუხ. 408).

ა/კ. ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **ს. ხანოიანი**

ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის სახალხო
კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

ტფილისი—სასახლე. 1925 წლის ივნისის 29.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 919 №-ში 1925 წ. ივლისის 7-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა.კ. ს. ფ. ს. რ-ს სახალხო კომისართა საბჭოსი.

457. **„ა/კ. ს. ფ. ს. რ. ფარგლებში საზღვარგარეთიდან სავალიუტო ფასეულობის შემოტანისა და გატანის წესის“ თაობაზე ა/კ. ცენტრალური აღმ. კომიტეტისა და ამიერკავკასიის ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1925 წ. იანვრის 19 თარიღით გამოცემული დადგენილების მე-9 მუხლის გაუქმების შესახებ.**

ამიერკავკასიის ცენტრ. აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

გაუქმებულ იქნეს ა/კ. ცენტრ. აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „ა/კ. ს. ფ. ს. რ. ფარგლებში საზღვარგარეთიდან სავალიუტო ფასეულობის შემოტანისა და გატანის წესის შესახებ“ 1925 წ. იანვრის 19-ს თარიღით გამოცემული (ა/კ. ს. ფ. ს. რ. კან. კრებ. 1925 წ. 1-ლი №-ის 344 მუხ.) დადგენილების მე-9 მუხლი, რომლითაც გათვალისწინებულია სახაზინო შემოსავლის სახით განსაკუთრებული გამოსაღები საზღვარგარეთ გასატანი თანხისათვის 0,5 %-ს რაოდენობით.

ა/კ. ცენტ. აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ს. ხანოიანი.**

ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის სახალხო
კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ა/კ. ცენტ. აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ა. შაგერდოვი.**

ტფილისი-სასახლე. 1925 წლის ივნისის 29.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 921 №-ში 1925 წლის ივლისის 9-ს.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

458. **საწარმავლო ფულით დაკმაყოფილების თაობაზე ამიერკავკასიის ცენტრ. აღმასრ. კომიტეტის მიერ 1924 წლის აგვისტოს 8-ს თარიღით გამოცემული დადგენილების ახალი რედაქციის შესახებ.**

წითელ არმიაში და წითელ ფლოტში მუშაობისათვის განსაკუთრებული წესისამებრ მობილიზაციით გაწვეულ პირთა საწარმავლო ფულით დაკმაყოფილების შესახებ 1924 წ. აგვისტოს 8-ს თარიღით გამოცემული და გაზ. „ზარია ვოსტოკა“-ს იმავე წლის 654 №-ში გამოქვეყნებული დადგენილების (კანონ. კრებ. მე-5 №-რი., მუხ. 201) განსავითარებლად ა/კ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხ. 1-ლი აღნიშნული დადგენილებისა მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„უკეთუ საკომანდო, ადმინისტრატიული და პოლიტიკური შედგენილობის პირი, აგრეთვე სამხედრო-სანიტარული და სამხედრო სავეტერინარო სამმართველოს მოსამსახურე პირი, რომელიც წითელი არმიის ან წითელი ფლოტის სათადარიგო ჯარში ითვლება, გაწვეულ იქნება პერსონალურად განსაკუთრებული წესისამებრ სამხედრო და საზღვაო უწყების მოთხოვნით, დაკმაყოფილებულ უნდა იქნეს საწარმავლო ფულით იმ დაწესებულებისა თუ საწარმოს ხარჯზე, სადაც იგი ირიცხება გაწვევის წამში;

ამასთანავე, ის პირი, რომელსაც არა ჰყავს სარჩენად შრომის უნარდაკარგული ან უმუშევარი წევრი ოჯახისა, დაკმაყოფილებულ უნდა იქნეს საწარმავლო ფულით თვიური ჯამაგირის რაოდენობით იმის მიხედვით, რა ჯამაგირიც მან უკანასკნელ თვეს მიიღო; ხოლო ის პირი, რომელსაც ჰყავს სარჩენად შრომის უნარდაკარგული ან უმუშევარი წევრი ოჯახისა, ორი თვის ჯამაგირის რაოდენობით იმის მიხედვით, რა ჯამაგირიც მან უკანასკნელ თვეს მიიღო“.

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ს. ხანოიანი.**

ამიერკავკასიის ცაენტრალური
აღმასრულებელი კომ. მდივანი **ა. შავერდოვი.**

ტფილისი-სასახლე. 1925 წლის ივნისის 29.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 921 №-ში 1925 წ. ივლისის 9-ს.

დადგენილება № 37 ამკ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოსი

459. კავკასიის წითელდროშიანი არმიის საარტილერიო, სასროლი და ასაფეთქებელი მასალის საწყობების ზღუდეთა გვერდით მდებარე მიწის ნაკვეთების სამხედრო დაცვის ორგანოს გამგეობაში გადაცემის შესახებ.

რათა, რაც შეიძლება მეტის უშიშროებისათვის თავიდან აცილებულ იქნეს ცეცხლის გაჩენის საფრთხე იმ არეზე, რომელიც უპირავს კავკასიის წითელ-დროშიანი არმიის საარტილერიო, სასროლი და ასაფეთქებელი მასალის საწყობებს, და თანაც უზრუნველყოფილ იქნენ უბედური შემთხვევისაგან ამ საწყობების ზღუდეთა გვერდით მდებარე მიწის ნაკვეთებზე დასახლებული მოქალაქენი,—ამიერკავკასიის ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. იმ ხნის განმავლობაში, ვიდრე ეს დადგენილება გაუქმებულ იქნებოდეს, აღკრძალულია აგება რაიმე შენობისა, როგორიც არის: საცხოვრებელი ან საეზოო შენობა, ქვა-აგურისა თუ ხის ზღუდე, და აგრეთვე ყოველგვარი მიწის სამუშაოს წარმოება, როგორიც არის: გზის გაყვანა, არხისა და ჭის გათხრა და სხვ., იმ მიწების არეზე, რომელიც გარშემო აკრავს საარტილერიო, სასროლი და ასაფეთქებელი მასალის საწყობებს, 200 საჟენის მანძილზე არა უახლოეს საწყობის ზღუდეებისაგან—პირდაპირი ხაზით.

2. მთლად ის მიწა, რომელიც გარშემო აკრავს საწყობს ამა დადგენილების 1-ლ მუხლში აღნიშნულ მანძილზე, გადაეცემა სამხედრო დაცვის ორგანოს გამგებლობას.

3. მოქალაქეთაგან დასახლებული მიწის ნაკვეთები, რაც სამხედრო დაცვის ზოლის ფარგლებშია, დაექვემდებარება განსაკუთრებულ წესებს უშიშროებისათვის, რასაც გამოსცემს არმიის სარდლობა, და რაც სავალდებულოა აღსასრულებლად ზემოაღნიშნული მოსახლეობისათვის.

4. საწყობების გვერდით მდებარე მიწის ნაკვეთების მდგომარეობის შესახებ გამოცემული წესების დარღვევისათვის დამნაშავე მიიცემა პასუხისგებაში ადმინისტრატიული ან სასამართლოს წესით თანახმად არსებული კანონებისა.

ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველის თან. დრ. აღმ. **ნ. სოკოლსკი.**

ტფილისი—სასახლე. 1925 წ. ივნისის 30.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 922 №-ში 1925 წ. ივლისის 10-ს.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოსი.

460. სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტების გამგებლობაში ქონებული საერთო სარგებლობის საქალაქო და სამაზრო ტელეფონის ქსელის მოწყობისა და შენახვის დებულების დამტკიცების შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ: დამტკიცებულ და სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს შემდეგი დებულება:

დ ე ბ უ ლ ე ბ ა.

სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტების გამგებლობაში ქონებული საერთო სარგებლობის საქალაქო და სამაზრო ტელეფონის ქსელის მოწყობისა და შენახვის შესახებ.

1. ზედამხედველობას ადგილობრივი ორგანოების გამგებლობაში ქონებული საერთო სარგებლობის ტელეფონის ქსელის წესიერად მოწყობისა და ექსპლოატაციისათვის განახორციელებენ ს. ს. რ. კავშირის ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატის ორგანოები, თანახმად ს. ს. რ. კავშირის ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატის დებულებისა (კანონთა კრებ. 1923 წ. 109—110 №-რი, მუხ. 1038) და ს. ს. რ. კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1924 წ. აგვისტოს 29-ს დადგენილებისა (კანონთა კრებ. 1924 წ. მე-6 №-რი, მუხ. 70), —თანაც ამა დებულებაში აღნიშნული წესების შესრულებით.

2. ის ტეხნიკური და საექსპლოტაციო წესები და ნორმები, რასაც ს. ს. რ. კავშირის ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატი გამოსცემს საერთო სარგებლობის ტელეფონის ქსელის მოწყობისა და ექსპლოტაციის შესახებ, სავალდებულოა შესაფარდებლად იმ სატელეფონო ქსელისა და კავშირგაბმულობისათვის, რომლის ექსპლოტაციასაც ადგილობრივი ორგანოები ეწევიან.

შენიშვნა 1. უკეთუ ადგილობრივი პირობების მიხედვით საჭირო იქნება ტეხნიკური ნორმებისა და წესების გადაცდენა, იგი უნდა მოახდინოს სამაზრო აღმასრულებელმა კომიტეტმა, ს. ს. რ. კავშირის ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატის იმ ორგანოების ნებართვით, რომელნიც განახორციელებენ ტეხნიკურ ზედამხედველობას ადგილობივ.

ადგილობრივი ორგანოს მიერ გამოცემული დადგენილება და ინსტრუქცია ტელეფონის ქსელის მოწყობისა და შენახვის შესახებ უნდა გაეგზავნოს ამიერ კავიასიის კავშირგაბმულობის ოლქს ცნობად.

შენიშვნა 2. ის შეთანხმება, რომელიც შეეხება ამ ჟამად სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის გამგებლობაში ქონებული ტელეფონის ქსელს, და რომელიც დადებულია ს. ს. რ. კავშირის ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატის მიერ სხვა უწყებასთან ამ ქსელის აღმასრულებელი კომიტისათვის გადაცემამდე, სავალდებულოა ადგილობრივი ორგანოსათვის.

შენიშვნა 3. ამა დებულების გამოცემამდე ს. ს. რ. კავშირის ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატის მიერ სხვა მოკავშირე და გაერთიანებულ უწყებასთან დადებული საერთო შეთანხმება ამ უწყების სასამსახურო კავშირგაბმულობის მოწყობისა და ექსპლოტაციის შესახებ საერთო სარგებლობის ქსელის რაოონში, აგრეთვე შეთანხმება კერძო აბონენტების სასამსახურო ქსელისათვის შეერთებისა და სასამსახურო ქსელის საერთო სარგებლობისათვის დათმობის შესახებ—სავალდებულოა ადგილობრივი ორგანოსათვის.

3. ახალ საერთო სარგებლობის სატელეფონო ნაგებობათა მოწყობა იმ ადგილას, სადაც არსებობს ს. ს. რ. კავშირის ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატის ანალოგიური ტელეფონის ნაგებობა, შეიძლება მხოლოდ სათანადო აღმასრულებელი კომიტეტის მიერ ს. ს. რ. კავშირის ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატის სათანადო ორგანოსთან დადებული შეთანხმებით.

4. ნიხრს სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის გამგებლობაში ქონებული ტელეფონის ქსელის ყოველგვარი სარგელობისათვის განსაზღვრავს სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტი, ხოლო იგი არ უნდა აღემატებოდეს იმ უკიდურეს ნიხრს, რაც დაწესებულია კანონით ს. ს. რ. კავშირის ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატის ტელეფონის ქსელებისათვის.

5. ფასიანი ტელეფონოგრამის გადაცემა საერთო სარგებლობის ტელეფონის საშუალებით და პერსონალის მუშაობით სწარმოებს იმ ნიხრით, რაც დაწესებულია ს. ს. რ. კავშირის ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატის ტელეფონის ქსელებისათვის.

6. ფოსტა-ტელეგრაფის საწარმოდან ადგილობრივი ორგანოს ექპლოატაციაში ქონებული ქსელის აბონენტებისათვის დეპეშის გადაცემის დაწესების უფლება ეკუთვნის ს. ს. რ. კავშირის ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატს. ზემოაღნიშნული წესისამებრ დეპეშების გადაცემით შემოსული ფულის ანარიცხი იმ ორგანოს სასარგებლოდ, რომელიც ტელეფონის ქსელის ექსპლოატაციას ეწევა, განისაზღვრება ს. ს. რ. კავშირის ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატის მიერ სათანადო აღმასრულებელ კომიტეტთან შეთანხმებით.

7. ის ადგილობრივი ორგანო, რომლის გამგებლობაშიაც არის საერთო სარგებლობის ტელეფონის ქსელი, მოვალეა წარუდგინოს ხოლმე ამიერკავკასიის კავშირგამბმულობის ოლქს სტატისტიკური ცნობები იმ ვადაზე და იმ ფორმით, რასაც დაადგესებს ს. ს. რ. კავშირის ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატის რწმუნებული ა/კ. ს. ფ. ს. რ-ში, ამიერკავკასიის ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოსთან და აკ. ს. ფ. ს. რ-ში შემავალი რესპუბლიკების შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატებთან შეთანხმებით.

8. იმ ტელეფონის ქსელის ოიკვიდაცია, რომელიც ადგილობრივი ორგანოს ამგებლობაშია, არ შეიძლება მოხდეს თვინიერ ს. ს. რ. კავშირის ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატის თანხმობისა.

9. დაევალოს ს. ს. რ. კავშირის ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატის რწმუნებულს ა/კ. ს. ფ. ს. რ-ში გამოსცეს, ა/კ. ს. ფ ს. რ-ში შემავალი რესპუბლიკების შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატებთან და ა/კ. ს. ფ. ს. რ-ს სახელმწიფო საგეგმო კომისიასთან შეთანხმებით, ინსტრუქცია ამა დებულების შეფარდებისათვის.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **ს. ხანოიანი.**

ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისარიატა
საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

ტფილისი—სასახლე. 1925 წ. ივნისის 29.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 923 №-ში 1925 წ. ივლისის 11.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 46 აპ. ს. ფ. ს. რ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატისა.

1925 წ. ივლისის 10.

461. მეტალის ნაკეთობაზე ფასების შეცვლის შესახებ.

ა/კ. ს. ფ. ს. რ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის ამა წლის თებერვლის 26-ს თარიღისა და 30 №-რის დადგენილების შესაცვლელად, თანახმად შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის დროებითი დებულების მე-3 მუხ. „გ“ პუნქტისა (ა/კ. ცენ. აღმ. კომ-ტის 1924 წ. ივნისის 26-ს დადგენილება) და ს. ს. რ-ბის კავშირის შრომისა და თავდაცვის საბჭოს მიერ—საქონელზე უკიდურესი ფასების დამყარების წესის შესახებ—1924 წ. თებერვლის 22 თარიღით გამოცემული დადგენილებისა,—ამიერკავკასიის შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატი ადგენს:

§ 1.

დაწესებულ იქნეს უკიდურესი ფასები მეტალის მრეწველობის ქვემოაღნიშნულ პროდუქტებზე და ნაკეთობაზე, როდესაც საქონელი გაიყიდება სახელმწიფო და კოოპერატიული ორგანიზაციებისა და მათი შენაერთების მიერ უშუალოდ თვით წარმოების ადგილას არა ნაკლებ ერთი ვაგონისა—ფრანკო-ვაგონი საერთო სარგებლობის რკინის გზის უახლოეს სადგურზე,—იმ რაოდენობით (ფასები), რაც განსაზღვრულ იქნება 2,5%-ნი ზედნართის მიმატებით შრომისა და თავდაცვის საბჭოს მიერ საგეგმო საჭიროებათათვის დამტკიცებულ ფასებზე, გარდა გადაკეთებული თუჯისა, რომლის ფასის განსაზღვრისათვის ზედნართის მიმატება არ მოხდება.

აღნიშნული საშუალებით გამოთვლილი რაოდენობა ფასებისა ამ ჟამად შემდეგია:

1.	თუჯი გადაკეთებული—ფუთი	95. კ
2.	თუჯი ჩამოსხმული	1 მ. და 03 კ.
3.	რკინა ხარისხიანი	2 მ. და 05 კ.
4.	რკინა ფურცლოვანი	2 მ. და 31. კ.
5.	რკინა სახურავი 3-ს. 11 ფ.	2 მ. და 87. კ.
6.	კოჭი და ჭერის ძელი (შველერი)	2 მ. და 05. კ
7.	მავთული დახვეული $^1/_4$"	2 მ. და 05. კ.
8	მავთული მე 8 №-რისა	3 მ. და 33. კ.
9.	მილი საგაზო $^3/_4$"	6 მ. და 15. კ.
10.	ლურსმანი მავთულისა № 8—4"	3 მ. და 84. კ.
11.	მილი თუჯისა წყალსადენ. 8"	2 მ. და 87. კ.
12.	რკინა მოთუთიავებული (ცინკ-მოკიდებული) 2 ს. 10 ფ.	5 მ. და 89. კ.
13.	თუნუქი (ჟესტი) მცირე ზომისა სათაროე	7 მ. და 00. კ.

§ 2.

1-ლ § -ში აღნიშნული ძირითადი ფასების ზედმეტი სასყიდელი დაწესდება ერთი-და-ნახევრის რაოდენობით იმ ზედმეტ სასყიდელთან შედარებით, რაც აღნიშნულია მეტალის მრეწველობის სინდიკატების კონვენციის 1924 წლის პრეისკურანტში, გარდა: 1) სასალტე რკინისა მე-18 № -რზე ზევით, 2) ნაჭრი მავთულისა მე-12 №-ზე ზევით და 3) ლურსმნისა მე-10 № ზე ზევით, რომელთათვისაც ზედმეტი სასყიდელი ერთი ორად ითვლება.

§ 3

მეტალის მრეწველობის ნაკეთობის გაყიდვა უშუალოდ თვით წარმოების ადგილას (საწყობში მიუზიდველად), ერთ ვაგონზე არა ნაკლები რაოდენობით, ფრანკო-ვაგონი საერთო სარგებლობის რკინის გზის უახლოეს სადგურზე წარმოების ადგილიდან ან ფრანკო-ბარჟა,—სახელმწიფო და კოოპერატიულმა საავაჭრო ორგანიზაციებმა უნდა აწარმოონ ამა დადგენილების 1-ლი §-თ დაწესებულ ფასებში, ზედნართის მიმატებით არა უმეტეს 3%-სა.

§ 4.

დაწესებულ იქნეს შემდეგი უკიდურესი ზედნართები ამა დადგენილების 1-ლი §-თ გათვალისწინებული ფასებისათვის, როდესაც სახელმწიფო და კოოპერატიული **სამრეწველო** საწარმონი გაჰყიდიან საავაჭრო საწყობებში მეტალის მრეწველობის პროდუქტებს ბითუმად და ნახევარ-ბითუმად:

№№ რიგზე	სახელწოდება	ბითუმად	ნახ.-ბითუმად	
			I კატეგ.	II კატეგ.
1	რკინა სახურავი, ღარიანი და მოთუთიავებული	4%	6%	8%
2	რკინა ხარისხიანი და სასალტე . . .	7 „	8 „	10 „
3	კოპი, ჭერის ძელი და რელსი	7 „	9 „	12 „
4	ლურსმანი	4 „	5 „	7 „
5	ჭურჭელი თუჯისა	6 „	8 „	10 „
6	ჭურჭელი რკინისა მინანქრიანი . . .	4 „	6 „	8 „

§ 5.

დაწესებულ იქნეს შემდეგი უკიდურესი ზედნართები ამა დადვენილების 1-ლი §-ით გათვალისწინებული ფასებისათვის, როდესაც სახელმწიფო და კოოპე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რატიული **სავაჭრო** საწარმონი გაჰყიდიან სავაჭრო საწყობებში მეტალის მრეწველობის პროდუქტებს ბითუმად და ნახევარ-ბითუმად:

№№ რიგზე	სახელწოდება	ბითუმად	ნახ.-ბითუმად	
			I კატეგ.	II კატეგ.
1	რკინა სახურავი, ღარიანი და მოთუთიავებული	4%	8%	12%
2	რკინა ხარისხიანი და სასალტე . . .	7 „	12 „	16 „
3	კოჭი, ჭერის ძელი და რელსი . . .	7 „	13 „	18 „
4	ლურსმანი	4 „	7 „	11 „
5	ჭურჭელი თუჯისა	6 „	10 „	14 „
6	ჭურჭელი რკინისა მინანქრიანი . .	4 „	8 „	12 „

შენიშვნა 1. უკიდურესი ზედნართი თუჯისა და რკინის (§§ 4 და 5) ჭურჭლის გაყიდვის დროს მიერიცხება მწარმოებელი ორგანიზაციის მიერ დამყარებულ ფასებს ფრანკო-ვაგონი საერთო სარგებლობის რკინისგზის სადგურზე, რომელიც წარმოების ადგილიდან უახლოეს მანძილზეა.

შენიშვნა 2. გადაცემა დუბლიკატისა, რომელიც წარგზავნილია გამყიდველი ორგანიზაციის მისამართით, იგულისხმება როგორც საბითუმო გაცემა ამ ორგანიზაციის საწყობიდან.

შენიშვნა 3. ამა დადგენილების 1-ლ §-ში აღნიშნული უკიდურესი ფასები ნისიად დადებული გარიგებისათვის გადიდდება იმ რაოდენობით, რომ ამ გადიდებამ დაჰფაროს ყველა ხარჯი მიცემული კრედიტის განაღდებისათვის.

შენიშვნა 4. ამა დადგენილების მე-4 და 5 §§-ბით გათვალისწინებულ ზედნართებში არ შედის რკინისგზით გადაზიდვის ღირებულება გაგზავნის სადგურიდან (უახლოესი წარმოების ადგილიდან) მიღების სადგურამდე (უახლოესი საწყობიდან), და აგრეთვე მიღების სადგურიდან საწყობამდე მიზიდვის ღირებულება, რომლის რაოდენობაც განისაზღვრება თანახმად ფაქტიურად გაწეული ხარჯისა ფრახტზე და მიზიდვაზე.

§ 6.

ამა დადგენილების მე-4 და 5 §§-ბით გათვალისწინებული უკიდურესი ზედნართების დაწესების საფუძველად მიღებულია საბითუმო და ნახევრად-საბითუმო გარიგებითა შემდეგი ნორმები:

ეროვნული ბიბლიოთეკა

№№ რიგზე	სახელწოდება	ბითუმად	ნახ. — ბითუმად	
			I კატეგ.	II კატეგ.
1	რკინა სახურავი, ღარიანი და მოთუთიავებული . . .	500 ფ. მეტი	50-დან-499	5-დან-49
2	რკინა ხარისხიანი და სასალტე	„	„	„
3	კოჭები, ჭერის ძელი და რელსი	„	„	„
4	ლურსმანი	300 ფ. და მეტი	50-დან-299	1-დან-49
5	თუჯის ჭურჭელი	200 ფ. და მეტი	25-დან-199	1-დან-24
6	რკინის ჭურჭელი მინანქრინია	50 ფ. და მეტი	10-დან--49	1-დან-9

§ 7.

ამა დადგენილებით დაწესებული უკიდურესი ფასები და ზედნართები საკალდებულოა:

ა) იმ გარიგებისათვის, რომელიც დადებულია ამ დადგენილების გამოქვეყნების დღის შემდეგ.

ბ) იმ გარიგებისათვის, რომელიც დადებულია ამა დადგენილების გამოქვეყნების დღემდე,იმ პირობით, რომ უნდა მოხდეს გადანაცვლება შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის მიერ დაწესებული ფასების თანახმად;

გ) იმ გარიგებისათვის, რომელიც დადებულია აგრეთვე ამა დადგენილების გამოქვეყნების დღემდე, ხოლო გარეშე „ბ“ პუნქტში აღნიშნულ პირობისა საქონლის იმ ნაწილის მიმართ, რაც გამოქვეყნების დღისათვის ჩაბარებულ არ იქნება.

§ 8.

ამა დადგენილების 1-ლ §-ში განსაზღვრული უკიდურესი ფასები არ გავრცელდება იმ გარიგებაზე, რაც დადებულია სამხედრო და საზღვაო სახალხო კომისარიატის რწმუნებულისა და გზათა სახალხო კომისარიატის რწმუნებულის მიერ საგგმო წესით, როგორც საცენტრალიზაციო, ისე სადეცენტრალიციო შენაკვეთისათვის.

§ 9.

ა/კ. ს. ფ. ს. რ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულს ფედერაციის შედგენილობაში შემავალ ცალკე რესპუბლიკაში წინადადება ეძლევა თვალყური ადევნოს ამა დადგენილების სისწორით აღსრულებას, რომელი დადგენილებაც ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

§ 10.

ამა დადგენილების დარღვევისათვის დამნაშავე პასუხს აგებს სათანადო რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსისამებრ, როგორც შინა-ვაჭრობის წესების დარღვევისათვის.

ამიერკავკასიის შინა-ვაჭრობის
სახალხო კომისრის მოადგილე **გამყრელიძე.**

მოწესრიგების სამმართველოს უფროსი **სტეფანიანი**
საქმეთა მმართველი **აბესაძე.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 925 №-ში 1925 წ. ივლისის 14-ს

დადგენილება № 47 ა/კ. ს. ფ. ს. რ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატისა.

1925 წ. ივლისის 13.

462. იმ პაპიროსის უკიდურესი საეტიკეტო ფასების შესახებ, რომლისთვისაც აქციზი გადახდილ უნდა იქნეს ორმაგი განაკვეთით.

„ა/კ. ს. ფ. ს. რ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის დროებითი დებულების შესახებ" ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ 1924 წ. ივნისის 26-ს თარიღით გამოცემული დადგენილების მე-3 მუხ. „გ" პუნ. თანახმად —ა/კ. ს. ფ. ს. რ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატი—თავისი ა/წ. აპრილის 30-ს თარიღისა და 37 №-რის დადგენილების დასამატებლად ადგენს:

1. დაწესებულ იქნეს მთლად ა/კ. ს. ფ. ს. რ-ს ტერიტორიაზე შემდეგი უკიდურესი საეტიკეტო ფასები პაპიროსზე, რომლისთვისაც აქციზი, ს. ს. რ-ს კავშ. ცენტრ. აღმ. კომიტეტისა და სახალხო კომ. საბჭ. 1924 წ. ოქტომბრის 3-ს დადგენილების მე-2 და 4 მუხ. თანახმად, გადახდილ უნდა იქნეს ორმაგი განაკვეთით (აქციზის ჩათვლით).

1-ლი ხარისხის	„ა"	შეხვეული	100	ცალი—	1 მ.	და 35	კაპ.
„	„	„	25	„		35	„
„	„	„	10	„		15	„
1-ლი ხარისხის	„ბ"	„	100	„	1 მ.	და 12	„
„	„	„	25	„		29	„
„	„	„	10	„		12	„

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე-2 ხარისხის	„ა“	შეხვეული	100	ცალი	72 კაპ.
„	„	„	20	„	15 „
„	„	„	10	„	8 „
მე-2 ხარისხის	„ბ“	„	100	„	54 „
„	„	„	20	„	12 „
„	„	„	10	„	7 „

2. ზემოაღნიშნული პაპიროსის შეხვევა ნებადართულია:

1-ლი ხარისხის „ა“ და „ბ“-სათვის—100 ცალად, 25 ცალად და 10 ცალად;

მე-2 ხარისხის „ა“-სათვის—100 ცალად, 20 ცალად და 10 ცალად;

მე-2 ხარისხის „ბ“-სათვის—100 ცალად, 20 ცალად და 10 ცალად.

3. პაპიროსის რეალიზაციის დროს ა/კ. ს. ფ. ს. რ-ს ფარგლებში, ხოლო იმ რესპუბლიკის ფარგლების-გარე, სადაც პაპიროსია დამზადებული, ამა დადგენილების 1-ლ მუხლში დაწესებულ ფასებს წამატება 1 კაპ. 10-ან, 20-ან და 25-ცალიან სახვევში გაყიდულს, ხოლო 5 კაპ.—100 ცალიან სახვევში გაყიდულს.

4. ამა დადგენილების 1-ლ მუხლში დაწესებული უკიდურესი საეტიკეტო ფასები არ გავრცელდება უმაღლესი ხარისხის პაპიროსზე.

5. დანორმილი ხარისხების პაპიროსის თვითეულ ხვეულზე (რაშიაც მოთავსებულია) აღნიშნული უნდა იყოს: ა) ფაბრიკის ან სახელოსნოს სახელწოდება, ბ) ფაბრიკისა თუ სახელოსნოს მდებარეობის ადგილის სახელწოდება, გ) პაპიროსის სახელწოდება (მარკა და ნომერი), დ) თამბაქოს წონა ათას ცალში, ე) პაპიროსის რაოდენობა ხვეულში, ვ) პაპიროსის ხარისხი, ზ) საეტიკეტო ფასი და თ) წარწერა: „აღნიშნულ ფასზე ძვირად გაყიდვა დაისჯება კანონისამებრ“

6. ამა დადგენილების პირველ მუხ. აღნიშნული ხარისხების პაპიროსი გამოიშვება მხოლოდ რბილ სახვევში (ხვეულში).

7. ყველა თამბაქოს ფაბრიკა და პაპიროსის სახელოსნო მოვალეა წარუდგინოს,—იმ არაპირდაპირი გადასახადის აგენტის მეშვეობით, რომლის გამგებლობაშიაც იგი იმყოფება,—ფინანსთა სახალხო კომისარიატის რწმუნებულის (რესპუბლიკაში) და მისი რწმუნებულების (ავტონომიურ რესპუბლიკებში) სამმართველოებთან არსებულ არაპირდაპირი გადასახადის ქვეგანყოფილებას და ა/კ. ს. ფ. ს. რ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის სათანადო ორგანოს ცნობები ამა დადგენილების 1-ლ მუხ. აღნიშნული ხარისხებისათვის საჭირო სახვევისა და ეტიკეტების მარაგის შესახებ, რაც დამზადებულია ან წარმოების პროცესშია, როგორც საკარტონაჟო სახელოსნოში და ლიტოგრაფიაში, ისე თვით თამბაქოს ფაბრიკასა და პაპიროსის სახელოსნოში, და რაც არ შეესაბამება ამა დადგენილების მე-2, 5 და 6 მუხ. მოთხოვნას. აღნიშნული სახვევისა და ეტიკეტის გამოყენება ნებადართულია მხოლოდ იმ ფარგლებში, რაც წინადვე დაკვეთილი რაოდენობა და მარაგი წარდგენილია საალრუსხეოდ, და იმ პირობით, რომ აუცილებლად დასმული ჰქონდეს შტემპელი ან დაკრული ჰქონდეს იარლიკი და აღნიშნულ იყოს ხარისხი და ფასი.

8. აკრძალულია პაპიროსის გამოშვება სახელმწიფო საწარმოსა, კოოპერატიული ორგანიზაციისა და კერძო პირის მიერ უიმისოდ, რომ სახვევზე აღნიშნულ არ იყოს ფასი და შესრულებულ არ იქნეს სხვა, ამა დადგენილების მე 2, 5, 6 და 7 მუხლის მოთხოვნა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

9. ამა დადგენილებაში აღნიშნული ფასები სავალდებულოა სახელმწიფო საწარმოსა, კოოპერატიული ორგანიზაციისა და კერძო პირისათვის მხოლოდ ისეთი პაპიროსის გაყიდვის დროს, რომელზედაც აღნიშნულია უკიდურესი საცალიკეტო ფასი, და რომელსაც აქვს ამა დადგენილების მე-2, 5, 6 და 7 მუხ. დაწესებული ხვეული.

10. დაწესებულ იქნეს შემდეგი მინიმალური საცალიკეტო ფასების მონაკლები სახელმწიფო ფაბრიკების მიერ დამზადებული პაპიროსის ბითუმი და წვრილ-საბითუმო ვაჭრობასათვის:

ა) როცა პარტიობით გაიცემა 70 ყუთზე მეტი—მონაკლები სავალდებულოა არა უმცირეს 15 %-სა.

ბ) როცა გარიგება წვრილ-საბითუმოა—1-დან 70 ყუთამდე—ამრიცხვითურთ—არა უმცირეს 12 %-სა.

შენიშვნა. ამა დადგენილების მე-10 მუხ. დაწესებული მინიმალური საცალიკეტო ფასის მონაკლები სახელმწიფო ფაბრიკის პაპიროსისათვის სავალდებულოა სახელმწიფო, კოოპერატიულ და კერძო ვაჭრობაში.

11. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულმა ა/კ. ს. ფ. ს. რ-ში შემავალ ცელკე რესპუბლიკაში უნდა იქონიოს მეთვალყურეობა ამა დადგენილების სისწორით აღსრულებისათვის.

12. ამა დადგენილების დარღვევისათვის დამნაშავე პასუხს აგებს სათანადო რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსისამებრ, როგორც შინა-ვაჭრობის წესების დარღვევისათვის.

13. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

ა/კ. ს. ფ. ს. რ. შინა-ვაჭრობის
სახალხო კომისრის მოადგილე **გამყრელიძე.**
მოწესრიგების სამმართველოს უფროსი **სტეფანიანი.**
საქმეთა მმართველი **აბესაძე.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 926 № ში 1925 წ. ივლისის 15-ს.

დადგენილება № 48 ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატისა

1925 წ. ივლისის 13.

463. წუნდადებული ნაკეთობის ფასის გადახდის წესის შესახებ.

ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატი ადგენს:

შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ ამიერკავკასიის ფედერაციის ტერიტორიაზე ს. ს. რ-ბის კავშირის შრომის სახალხო კომისარიატის 1925 წ. მაისის 8-ს თარიღისა და 143-519 №-რის დადგენილება „წუნდადებული ნაკეთობის ფასის გადახდის წესის შესახებ."

ამიერკავკასიის შრომის
სახალხო კომისარი **ს. იაკუბოვი.**
ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატის
სატარიფო-საკონფლიქტო განყ. გამგე **ლ. თუმანოვი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება ს. ს. რ-ბის კავშირის შრომის სახალხო კომისარიატისა.

1925 წ. მაისის 8 № 143—519

წუნდადებული ნაკეთობის ფასის გადახდის წესის შესახებ.

რათა თავიდან აცილებულ იქნეს არა-სათანადო განმარტება შრომის კანონთა კოდექსის 57 და 83 მუხლისა და რათა მოწესრიგებულ იქნეს წუნდადებულ ნაკეთობის ფასის გადახდის საკითხი, ს. ს. რ-ბის კავშირის შრომის სახალხო კომისარიატი ადგენს:

1. ფასი მთლად ან ნაწილობრივ წუნდადებული ნაკეთეობისა, რომლის ნაკლი დამოკიდებული არ არის მუშაზე და რის აცილებაც მას თავის დროზე არ შეეძლო, გადახდილ უნდა იქნეს: ან უწუნო ნაკეთობის თანაბრად ან იმ საფუძველზე, რაც გათვალისწინებულია სამეურნეო ორგანოს შეთანხმებით პროფესიონალურ კავშირთა საბჭოსთან.

2. იმ შემთხვევაში, როდესაც, წარმოების პირობების მიხედვით, უწყებული პროცენტი წუნისა აუცილებელია, იგი, როგორც ნორმალური (მოსალოდნელი), შეიძლება წინადვე ფიქსაციაქმნილ იყოს და გადახდილ იქნეს მით, რომ ეს პროცენტი ჩაითვალოს ნაჭრობითი ფასში.

წუნდადებული ნაკეთეობის ფასი დაწესებულ ნორმალურ ფარგლებში, ნაანგარიშევი ნაჭრობითი ფასის განსაზღვრის დროს, შემდგომ გადახდილ არ უნდა იქნეს.

უკეთუ ნაჭრობითი ფასების განსაზღვრის დროს ნორმალური პროცენტი წუნისა ნაანგარიშევი არ იყო, იგი გადახდილ უნდა იქნეს ამა დადგენილების 1-ლ მუხლში დაწესებული რაოდენობით.

შენიშვნა. ნორმალური წუნი განსაზღვრული პროცენტის სახით დაწესდება სამეურნეო ორგანოს შეთანხმებით პროფესიონალურ კავშირთან და ეცნობება მომუშავეთ.

3. იმ წუნდადებული ნაკეთეობის ფასი, რომლის ნაკლიც მე-2 მუხ. გათვალისწინებულ ნორმალურ ნაკლს აღემატება, და წარმოსდგა მუშის დაუდეგრობით, შეიძლება გადახდილ იქნეს შემცირებული შეფასებით; ხოლო უკეთუ ნაკეთობა მთლად უვარგისია, ფასი სრულიადაც გადახდილ არ უნდა იქნეს.

შენიშვნა. ამა მუხლის შეფარდებას არ შეუძლიან გამოიწვიოს მუშის სამუშაო ხელფასის შემცირება მისი სატარიფო განაკვეთის ორ მესამედზე ნაკლებ რაოდენობამდე.

4. ამა დადგენილების მე-3 მუხ. გათვალისწინებულ შემთხვევაში წუნდადებულ ნაკეთობაზე მუშაობის დროს მასალის გაფუჭებისათვის, მუშის სამუშაო ხელფასიდან, შრომის კანონთა კოდექსის 83 მუხ. თანახმად და შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიის დასტურით, შეიძლება გამოკლებულ იქნეს ერთდროულად გაფუჭებული მასალის ღირებულება, ხოლო არა უმეტეს მისი თვიური სატარიფო განაკვეთის ერთი მესამედისა.

№ 7 ეროვნული ბიბლიოთეკა

5 უკეთუ მუშის ბრალით არაეთხელ გამოყვანილ იქნება უხეირო ნაკეთობა, რომლის ნაკლიც მე-2 მუხ, გათვალისწინებულ პროცენტს აღემატება, ამაში დამნაშავე დაქირავებული პირი შეიძლება დათხოვნილ იქნეს შრომის კანონთა კოდექსის 47 მუხ. „გ“ პუნქ. და ამავე მუხლის შენიშვნაში გათვალისწინებული წესისამებრ.

ს. ს. რ-ბის კავშირის შრომის სახალხო კომისრის
მაგიერ, ს. ს. რ-ბის კავშირის შრომის სახალხო
კომისარიატის კოლეგიის წევრი **ბახუტოვი.**

შრომის სახალხო კომისარიატის სატარიფო-სა-
კონფლიქტო განყოფილების გამგის თანაშემწე **კორშუნოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 927 №-ში 1925 წ. ივლისის 16-ს.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კ. ს. ფ. ს. რ. კომისართა საბჭოსი.

464. სასოფლო-სამეურნეო გადასახადისთვის სხვა-და-სხვა კულტურიანი მიწების სახნავზე გადანაცვლის ნორმებისა და დასაბეგვრი ცხვრისა და თხის რაიონების შესახებ.

1925 წლის მაისის 7-ს თარიღით გამოცემული „ერთიანი სასოფლი-სამეურნეო გადასახადის დებულების“ მე-17 მუხლის პირველი შენიშვნისა და მე-16 მუხლის მეოთხე შენიშვნის თანახმად—ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კ ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

I. დაწესებულ იქნეს შემდეგი ნორმები სხვა-და-სხვა კულტურიანი მიწების სახნავზე გადანაცვლისათვის:

1. ერთი დესეტინა ბოსტანი და ბაღჩა უდრის 2 დესეტინა სახნავს—საქართველოში და აზერბაიჯანში, ხილო სომხეთში—1,8 დესეტინა სახნავს.

2. ერთი დესეტინა ხილის ბაღი და თხილის და კაკლის პლანტაცია უდრის 3 დესეტინა სახნავს განჯისა, ყუბისა და გორის მაზრებში, ხოლო დანარჩენ ადგილებში—დესეტინა ნახევარ სახნავს.

3. ერთი დესეტინა ვენახი უდრის:

სომხეთში.—ეჩმიაძინის მაზრის სოფ აშტარაკსა, ოშაკანსა, გზილთამფრსა და აჯიყარაში 3 დესეტინა სახნავს; დანარჩენ ადგილებში 1,5 დესეტინა სახნავს

საქართველოში.—თელავისა და სიღნაღის მაზრებში—2 დეს. სახნავს; დანარჩენ ადგილებში—1,5 დეს. სახნავს; „იზაბელა“ ყველგან—1 დეს. სახნავს.

აზერბაიჯანში—განჯისა, შამხორისა და ყაზახის მაზრებში—3 დესეტინა სახნავს; დანარჩენ ადგილებში—1,5 დეს. სახნავს.

4. ერთი დესეტინა ბრინჯი უდრის 2 დეს. სახნავს ყველგან.
5. ერთი დესეტინა ბამბა უდრის 2 დეს. სახნავს ყველგან.
6. ერთი დესეტინა თამბაქო უდრის:
3 დეს. სახნავს აფხაზეთში; 2 დეს. სახნავს სიღნაღის მაზრის ლაგოდეხის უბანში და ზაქათლის მაზრაში; დანარჩენ ადგილას—1,5 დეს. სახნავს.
7. ერთი დეს. ჩაიჰ—სამრეწველო ხასიათის პლანტაციაზე—უდრის 2 დეს სახნავს; ხოლი არასამრეწველო ხასიათის (საგლეხო) ნანერგი—1 დეს. სახნავს
II. მანდარინის პლანტაციები განთავისუფლებულ იქნეს ერთიანი სასოფ-ლო-სამეურნეო გიდასახადით დაბეგვრისაგან.
III. ცხვარი და თხა ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადით დაიბეგვროს ყველგან.
ცვრისა და თხის დაბეგვრისაგან განთავისუფლებულ იქნეს ის მეურნეობა, რომელსაც სამ სულზე მეტი არა ჰყავს.
იმ მეურნეობაში, სადაც ცხვარი და თხა სამ სულზე მეტია, ხოლო არა უმეტეს ათი სულისა, დაიბეგვროს ყველა ცხვარი და თხა—სახნავზე გადატანით 0,04 ნორმის მიხედვით.

შენიშვნა. ყველა დანარჩენ მეურნეობაში ცხვარი და თხა დაიბეგ-ვრება გადასახადით მთლად, სახნავზე გადატანით დაწესებული 0,07 ნორმის მიხედვით.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **ს. ხანთიანი.**

ამიერკავკასიის ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

ტფილისი—სასახლე. 1925 წ. ივლისის 13.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 929 №-ში 1925 წ. ივლისის 18-ს.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოსი.

465. ამიერკავკასიისა და რესპუბლიკანური წყალთა მეურნეობის სამმართველოთა დებულებების დამტკიცების შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ!

დამტკიცებულ და სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს შემდეგი დებულებანი:

ეროვნული ბიბლიოთეკა

დებულება ამიერკავკასიის წყალთა მეურნეობის სამმართველოს შესახებ.

თავი I.

ზოგადი დებულებანი.

1. წყალთა მეურნეობის ხელმძღვანელობისათვის ა/კ. ს. ფ. ს. რ-ში, არსდება, სადირექტივო ორგანოს უფლებით, ამიერკავკასიის წყალთა მეურნეობის სამმართველო.

2. ამიერკავკასიის წყალთა მეურნეობის სამმართველო არსებობს ა/კ. ს. ფ. ს. რ. უმაღლეს ეკონომიურ საბჭოსთან.

თავი II.

ამიერკავკასიის წყალთა მეურნეობის სამმართველოს გამგებლობის საგნები.

3. ამიერკავკასიის წყალთა მეურნეობის სამმართველოს გამგებლობაში არის: მორწყვისა და დაშრობის საქმე და სხვა გვარი მელიორაცია, წყალდიდობასთან ბრძოლის საქმე, წყალთა სისტემების მოწესრიგებისა და ამ სისტემებით წყლის სარგებლობის საქმე, სოფლის მეურნეობისა და სხვა საჭიროებისათვის წყლის სარგებლობის უფლების განსაზღვრის საქმე.

4. ყველა მუშაობას, რაც ამა დებულების მე-3 მუხ. აღნიშნულ საგნების განხორციელებისათვის იქნება ნამოქმედარი, აგრეთვე სხვა, წყალთა მეურნეობასთან დაკავშირებულ მუშაობას ამიერკავკასიის წყალთა მეურნეობის სამმართველო აწარმოებს რესპუბლიკანურ წყალთა მეურნეობის სამმართველოს მეშვეობით.

5. ამიერკავკასიის წყალთა მეურნეობის სამმართველო, მიიღებს-რა სახელმძღვანელოდ ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო მეურნეობის საერთო გეგმას, ს. ს. რ-ბის კავშირის მიერ დადგენილ წყლის სარგებლობის ძარითად პრინციპებს და ა/კ. ს. ფ. ს. რ. კანონმდებლობას წყალთა შესახებ:

ა) შეიმუშავებს და დაამტკიცებს, რესპუბლიკანურ წყალთა მეურნეობის სამმართველოების მიერ წარდგენილ ცნობებისა და მასალების თანახმად, ტეხნიკურ და სხვა საკითხებს მორწყვის სისტემის მოწყობისა, გაფართოებისა, გაუმჯობესებისა და წესიერად შენახვისათვის, ამიერკავკასიის წყალთა რესურსების შესწავლისათვის და აგრეთვე სხვა, ამა დადგენილების მე-3 მუხლში აღნიშნულ საგნებისათვის;

ბ) შეიმუშავებს ა/კ. ს. ფ. ს. რ. წყალთა მეურნეობის სამუშაო გეგმას;

გ) გამოარკვევს წყალთა მეურნეობის სფეროში მუშაობისათვის საჭირო კრედიტებს და, როგორც მთავარი განმკარგულებელი კრედიტებისა, დამტკიცებულ ხარჯთაღრიცხვების მიხედვით, გაასიგნობებს კრედიტებს კვარტალობით ან სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღმშენებლო სეზონობით, სამუშაო პროგრამის თანახმად, რესპუბლიკანურ წყალთა მეურნეობის სამმართველოების უფროსების განკარგულებაში;

დ) დაავალებს საქმეს და მისცემს ინსტრუქციებს რესპუბლიკანურ წყალთა მეურნეობის სამმართველოებს გამოკვლევისა, პროექტების შედგენისა და ჰიდრო-ტეხნიკური მუშაობის წარმოებისათვის ყველა იმ საგნის სფეროში, რაც ამა დებულების მე-3 მუხლშია აღნიშნული;

ე) დაამტკიცებს და შეიმუშავებს რესპუბლიკანურ წყალთა მეურნეობის სამმართველოების მიერ წარდგენილ იმ ახალ სამუშაოს პროექტებს და ხარჯთაღრიცხვებს, რაც წარმოებულ უნდა იქნეს ა/კ. ს. ფ. ს. რ. სალელმწიფო ბიუჯეტის მიხედვით და ს. ს. რ-ბის კავშირის სპეციალური ფონდის ხარჯით;

ვ) განახორციელებს ზედამხედველობას, რათა რესპუბლიკანურ წყალთა სამმართველოების მიერ წარმოებული მუშაობა წესიერად და ამიერკავკასიის წყალთა მეურნეობის სამმართველოს მიერ დამტკიცებული პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვების თანახმად იყოს წარმართული, და აგრეთვე შეამოწმებს ნაგებობათა და მუშაობის ტეხნიკურ ანგარიშგებას;

ზ) გააუქმებს რესპუბლიკანურ წყალთა მეურნეობის სამმართველოების დადგენილებათა, რაც ეწინააღმდეგება ამიერკავკასიის წყალთა მეურნეობის სამმართველოს დირექტივებს და დავალებას. უკეთუ რესპუბლიკანური წყალთა სამმართველო პროტესტს განაცხადებს, საკითხი საბოლოო გადაწყვეტისათვის გადაეტანება ამიერკავკასიის უმაღლეს ეკონომიურ საბჭოში;

თ) დააწესებს რესპუბლიკანურ სამმართველოებისათვის სავალდებულო ანგარიშგების წესსა და ფორმას;

ი) განსაზღვრავს ამიერკავკასიისა და რესპუბლიკინურ წყალთა მეურნეობის სამმართველოების სტრუქტურას, შტატს და თანამშრომელთა ჯამაგირებს და წარადგენს დასამტკიცებლად დადგენილი წესისამებრ;

კ) გასცემს სახელმძღვანელო განკარგულებათ, წინასწარ დაამტკიცებს სათანადო წესდებათ და გამოსცემს საერთო წესებს, რაც მოაგვარებს წყლის სარგებლობის საქმეს და რაც დამტკიცებულ უნდა იქნეს ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს მიერ;

ლ) განიხილავს სასაზღვრო დავას წყალზე მეზობელ რესპუბლიკების წყლის მოსარგებლეთა შორის და შეუთანხმებს რესპუბლიკანურ წყალთა მეურნეობის სამმართველოს სათანადო ორგანოებს ან, უკეთუ ეს შეთანხმება მიღწეულ ვერ იქნა, წარუდგენს განსახილველად სათანადო ცენტრალურ ორგანოს;

მ) გადასინჯავს ზედამხედველობის წესით რესპუბლიკანურ წყალთა მეურნეობის სამმართველოების გადაწყვეტილებას იმ საკითხთა გამო, რაც შეეხება წყლის სარგებლობის უფლებაზე მოწმობის მიცემასა და აქედან გამომდინარე დავას მეზობელ რესპუბლიკების წყლის მოსარგებლეთა შორის იმავე უფლებაზე, და წარუდგენს ამიერკავკასიის ცენტრადურ აღმმსრულებელ კომიტეტს საბოლოო გადაწყვეტისათვის;

ნ) შეადგენს და წარუდგენს ამიერკავკასიის უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს ა/კ. ს. ფ. ს. რ. წყალთა მეურნეობის ყველა დაწესებულების მოქმედების ყოველ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წლიურ საერთო ანგარიშებს, ხოლო ფინანსიურ ანგარიშებს წარუდგენს ა/კ. ფინანსთა სახალხო კომისარიატს ამ უკანასკნელის მიერ დაწესებულ ვადაზე.

შენიშვნა უკეთუ ლიტ. „გ“ ში აღნიშნული წესით გახსნილი კრედიტები არ იქნება დახარჯული პირდაპირი დანიშნულებისამებრ, ან უკეთუ, ამიერკავკასიის წყალთა მეურნეობის სამმართველოს უნებართვოთ, დარღვეულ იქნება მუშაობის ტეხნიკური პირობები, ან და აღნიშნულ სამმართველოსათვის წარდგენილ არ იქნება ანგარიშები, მას, როგორც კრედიტების მთავარ განმკარგულებელს, უფლება აქვს, ა/კ. ს. ფ. ს. რ. უმაღლესი ეკონომიური საბჭოს დამტკიცებით, დახუროს გახსნილი კრედიტი.

თ ა ვ ი III.

ამიერკავკასიის წყალთა მეურნეობის სამმართველოს სტრუქტურა.

6. ამიერკავკასიის წყალთა მეურნეობის სამმართველოს შედგენილობაში შედის:

ა) ამიერკავკასიის წყალთა მეურნეობის სამმართველოს უფროსი, რომელსაც დანიშნავს და გაიწვევს ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭო;

ბ) უფროსის მოადგილე, რომელსაც დანიშნავს და გაიწვევს ა/კ. სახალხო კომისართა საბჭო;

გ) საერთო—ადმინისტრატიულ-საფინანსო განყოფილება (კანცელარია, ბუხჰალტერია, მომარაგება, იურისკონსულტი და სტატისტიკა);

დ) საკონტროლო-საინსპექტორო განყოფილება;

ე) სატეხნიკო ნაწილი;

ვ) სამეცნიერო-საკვლევო ნაწილი (ჰიდრომეტრია, ჰიდრომოდულ. და სხვ.)

7. ამიერკავკასიის წყალთა მეურნეობის სამმართველოსთან არის: წყალთა სატეხნიკო საბჭო, რომლის დებულებასაც დაამტკიცებს ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭო.

8. ამიერკავკასიის წყალთა მეურნეობის სამმართველოს შედგენილობაში შემავალ თანამდებობის პირთა, განყოფილებათა და ნაწილთა ფუნქციებს განსაზღვრავს ამიერკავკასიის წყალთა მეურნეობის სამმართველოს უფროსი.

დებულება ა/კ. ს. ფ. ს. რ-ში შემავალი რესპუბლიკების წყალთა მეურნეობის სამმართველოების შესახებ.

თ ა ვ ი I.

ზოგადი დებულებანი.

1. ამიერკავკასიის წყალთა მეურნეობის სამმართველოს ორგანოებად აზერბაიჯანის ს. ს. რ-ში, საქართველოს ს. ს. რ-ში და სომხეთის ს. ს. რ-ში, ამ რესპუბლიკებში შემავალი ავტონომიურ რესპუბლიკებითა და ოლქებითურთ, არიან რესპუბლიკანური **წყალთა მეურნეობის სამმართველონი.**

2. რესპუბლიკანური წყალთა მეურნეობის სამმართველონი არსებობენ აზერბაიჯანის ს. ს. რ-სა, საქართველოს ს. ს. რ-სა და სომხეთის ს. ს. რ-ს ეკონომიურ საბჭოებთან და ყველა იმ დირექტივისა და დავალების სფეროში, რასაც ამიერკავკასიის წყალთა მეურნეობის სამმართველოსაგან მიიღებენ ს. ს. რ-ბის კავშირის ფონდისა და ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახელმწიფო ბიუჯეტის ანგარიშით მუშაობისათვის, ექვემდებარებიან ამ სამმართველოს.

თ ა ვ ი II.

რესპუბლიკანური წყალთა მეურნეობის სამმართველოს გამგებლობის საგნები.

3. რესპუბლიკანური წყალთა მეურნეობის სამმართველოს გამგებლობის საგანს შეადგენს:

ა) უშუალო გამგებლობა გაუწიოს წყალთა მეურნეობას და აწარმოოს მასთან დაკავშირებული მუშაობა, როგორიც, არის: მორწყვა, დაშრობა და სხვაგვარი სამელიორაციო საქმე; ებრძოლოს წყალდიდობას; მოაწესრიგოს წყალთა სისტემები და მათი საშუალებით წყლის სარგებლობა, თანაც განსაზღვრის უფლება წყლის სარგებლობისა სასოფლო მეურნეობისა და სხვა საჭიროებისათვის;

ბ) აწარმოოს ჰიდრო-ტეხნიკური მუშაობა, სხვათა შორის გამოკვლევანი ამიერკავკასიის წყალთა მეურნეობის სამმართველოს დავალებით;

გ) აწარმოოს ამიერკავკასიის წყალთა მეურნეობის სამმართველოს დავალებით მუშაობა მეზობელი რესპუბლიკის წყალთა მეურნეობის საჭიროებისათვის, უკეთუ ამას მოითხოვს მდინარეებისა და მათი ტოტების დენის პირობები უწყებული რესპუბლიკის ტერიტორიაზე, ან სხვა რამ მდგომარეობა ადგილისა;

დ) გაუწიოს ტეხნიკური ზედამხედველობა და ინსპექტორობა სარწყავ არხებს;

ე) აწარმოოს სარწყავი სისტემების ექსპლოატაცია, რემონტი და გააუმჯობესოს იგი; აწარმოოს ყოველგვარი სამელიორაციო მუშაობა სამელიორაციო (საბანკო) კრედიტის რესპუბლიკანური და ადგილობრივი სახსარის ანგარიშით, წყლის მოსარგებლეთა და სხვ. ხარჯით;

ვ) შეიმუშაოს წინასწარ პროექტები, რაც დამტკიცებულ უნდა იქნეს ამიერკავკასიიის წყალთა მეურნეობის სამმართველოს მიერ;

ზ) შეიმუშაოს და დაამტკიცოს იმ სამუშაოს პროექტები, რაც აღნიშნულია „ე“ პუნქტში;

თ) გასცეს მოწმობები წყლის სარგებლობის უფლებისათვის;

ი) გადასწყვიტოს დავა წყლის მოსარგებლეთა შორის;

კ) შეადგენოს ხარჯთაღრიცხვები სათანადო წესით განხილვისა და დამტკიცებისათვის;

ლ) წარუდგინოს რესპუბლიკანურ მთავრობას და ამიერკავკასიის წყალთა მეურნეობის სამმართველოს წყალთა მეურნეობის სამმართველოს საერთო მოქმედების წლიური ანგარიში;

№ 1. ეროვნული ბიბლიოთეკა

მ) წარადგინოს ამიერკავკასიის წყალთა მეურნეობის სამმართველოში ყველა მუშაობის ტეხნიკური ანგარიში და აგრეთვე—ა/კ. ფინანსთა სახალხო კომისარიატის მიერ დადგენილ ვადაზე ფინანსიური ანგარიში.

თ ა ვ ი III.

რესპუბლიკანური წყალთა მეურნეობის სამმართველოს სტრუქტურა.

4. რესპუბლიკანური წყალთა მეურნეობის სამმართველოს შედგენილობაში შედის;

ა) წყალთა მეურნეობის სამმართველოს უფროსი, რომელსაც დანიშნავს და და გაიწვევს რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ა/კ. წყალთა მეურნეობის სამმართველოსთან შეთანხმებით.

ბ) უფროსის მოადგილე, რომელიც დაინიშნება და გაიწვევა წინა მუხლში აღნიშნულ წესისამებრ, და რომელიც ჰმეთაურობს სამმართველოს უფროსის არ-ყოფნისა ან ავადმყოფობის გამო;

გ) წყალთა ოლქის გამგე, რომელსაც უშუალოდ დანიშნავს და გაიწვევს რესპუბლიკანური წყალთა სამმართველოს უფროსი; ხოლო განსაკუთრებული სა-მუშაოს უფროსი დაინიშნება ა/კ. წყალთა მეურნეობის სამმართველოსთან შე-თანხმებით;

დ) ადმინისტრატიულ-საფინანსო განყოფილება;

ე) სატეხნიკო-საალმშენებლო ნაწილი (მუშაობის წარმოება და ინსპექტურა),

ვ) წყალთა კომისია, რომელიც იმყოფება წყალთა მეურნეობის სამმართვე-ლოსთან;

5. სამმართველოს შედგენილობაში შემავალ თანამდებობის პირთა და განყოფილებათა ფუნქციების განაწილებას განსაზღვრავს სამმართველოს უფროსი.

წყალთა კომისიის გამგებლობას ეკუთვნის: წყალზე უფლების განსაზღვრა და წყლის მოსარგებლეთა შორის წყლის უფლების გამო აღძრულ დავათა გადა-წყვეტა იმ წესებისა და ინსტრუქციების მიხედვით, რასაც, ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს დამტკიცებით, გამოსცემს ამიერკავკასიის წყალთა მეურნეო-ბის სამმართველო.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **ს. ხანოიანი.**

ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

ტფილისი—სასახლე. 1925 წ. ივლისის 13.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 930 №-ში 1925 წ. ივლისის 19-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 49 ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატისა

1925 წ. ივლისის 13.

466. სია ნავთის მრეწველობის იმ პროფესიებისა და იმ სამუშაოსი, რომელზედაც 18-ს წლისაზე უმცროსნი არ მიიღებიან.

ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატის 1925 წ. მარტის 21-ს თარიღისა და მე-19 №-რის დადგენილების („შრომის კანონმდებლობის ვესტნიკი"-ს მე-6 №-რი 1925 წლისა) დასამატებლად--ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატი ადგენს:

18-ს წლისაზე უმცროსი პირნი არ უნდა იქნენ მიღებულნი ნავთის ამოღებისა და მისი პროდუქტების გადამუშავების საქმეში შემდეგ პროფესიებსა და სამუშაოზე, ამ პროფესიებისა და სამუშაოს განსაკუთრებული მავნებლობის გამო:

1) საბურღავი პარტიის ყველა პროფესიაზე; 2) ამომკასრვის პროფესიაზე; 3) ნავთის ფარდულის ზევითა ბორბლების მეზეთეს პროფესიაზე; 4) გამწმენდ განყოფილებათა ყველა პროფესიაზე; 5) „სკონშჩიკის" პროფესიაზე; 6) ზარფუშის მწმენდავის პროფესიაზე; 7) მეპირომეტრის პროფესიაზე; 8) მერეტორეს პროფესიაზე; 9) უკეთუ ორთქლის ქვაბებს მოზრდილი ცეცხლის შემკეთებელი არ ეყოლება, ხოლო მანქანის განყოფილებაში—მოზრდილი მეზეთე არ იქნება, 18-ს წლისაზე უმცროსი პირნი ამა პუნქტში აღნიშნულ პროფესიაზე მიღებულ არ უნდა იქნენ.

ამიერკავკასიის შრომის სახალხო
კომისარი **ს. იაკუბოვი.**

ა/კ. შრ. სახ. კ-ტის შრომის დაცვის
განყოფ. გამგის მაგიერ **ნასყიდოვი.**

პროფესიონალური გეგეენისა და
პროფ. სანიტარიის სექციის გამგე **მ. შახნაზაროვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 932 №-ში 1925 წ. ივლისის 22-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ამიერკავკასიის ს. ფ. ს. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

467. იმ საწარმოთა და კოლექტივთა შესახებ, რომელთაც მოაწყობს შრომის ბირჟის კომიტეტი უმუშევართათვის შრომითი დახმარების აღმოჩენად.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ამიერკავკასიის ს. ფ. ს. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. რათა აღმოეჩინოს შრომითი დახმარება იმ უმუშევართ, რომელნიც გატარებულ არიან შრომის სახ. კომისარიატის საშუამავლო ორგანოების რეგისტრაციაში, შრომის ბირჟის კომიტეტებს უფლება ეძლევათ, სათანადო პროფესიონალურ კავშირთან შეთანხმებით, მოაწყონ უმუშევართაგან წარმოებითი და სავაჭრო საწარმონი და აგრეთვე შრომითი კოლექტივები.

2. ერთი შრომის ბირჟის კომიტეტის გამგებლობაში არსებული საწარმონი და კოლექტივები შეადგენენ ერთს შენაერთს, რომლის სათავეშიაც სდგას გამგეობა; გამგეობას დანიშნავს შრომის ბირჟის კომიტეტი რესპუბლიკის პროფესიონალურ კავშირთა საბჭოსთან შეთანხმებით.

3. შენაერთის შედგენილობაში შემავალი ცალკე საწარმოს თუ კოლექტივის მართვა-გამგეობა დაეკისრება რწმუნებულს, რომელსაც კომიტეტი დანიშნავს სათანადო პროფ. კავშირთან შეთანხმებით. რწმუნებული მოქმედობს შენაერთის გამგეობის მიერ მიცემული რწმუნებულობის თანახმად (მუხ. 2).

4. ერთ შრომის ბირჟის კომიტეტის გამგებლობაში არსებულ საწარმოთა და კოლექტივთა შენაერთს, მის შესახებ გამოცემული დებულების სათანადო შრომის სახალხო კომისარიატის რეგისტრაციაში გატარების შემდეგ, აქვს იურიდიული პირის ყველა უფლება.

5. იმ ქალაქში, სადაც მხოლოდ ერთი საწარმო ან ერთი კოლექტივია, ამ უკანასკნელს ეძლევა იურიდიული პირის უფლებები მას შემდეგ, რაც მის შესახებ გამოცემული დებულება გატარებულ იქნება შრომის განყოფილების რეგისტრაციაში.

შენიშვნა. საწარმოთა და კოლექტივთა შენაერთი და აგრეთვე ის კოლექტივი, რომელსაც, მე-5 მუხლის თანახმად, იურიდიული პირის უფლებები აქვს, სახელმწიფოსათვის ნარდად მუშაობისა და ყიდვა-მიწოდების გამო მოწყობილ საჯარო ვაჭრობაში მონაწილეობის მიღების დროს გაუთანასწორდება სახელმწიფო ორგანოებს.

6. საწარმოს და კოლექტივის სახარს შეადგენს:

ა) ის თანხა, რაც მიღებულ იქნება საწარმოს ექსპლოატაციით და კოლექტივის მუშაობით;

ბ) საერთო სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი სუბსიდია;

გ) სხვა შემოსავალი.

7. საწარმოს ექსპლოატაციით და კოლექტივის მუშაობით მიღებული წმინდა მოგება გადადის შრომის ბირჟის კომიტეტის განკარგულებაში და მოხმარდება მარტოოდენ უმუშევართათვის შრომითი დახმარების გაფართოების საქმეს.

8. საწარმოს თუ კოლექტივის მოქმედების რაიონი განისაზღვრება სათანადო შრომის ბირჟის კომიტეტის მოქმედების რაიონით.

9. საწარმოთა და კოლექტივთა შენაერთი და აგრეთვე ის საწარმო და კოლექტივი, რომელსაც იურიდიული პირის უფლებები აქვს (მუხ. 5), პასუხს აგებს მარტოოდენ იმ ქონებით, რაც მას მე-6 მუხლის თანახმად ეკუთვნის. კოლექტივის მონაწილეს კოლექტივის ვალდებულების გამო არავითარი ნივთიერი პასუხისმგებლობა არ დაეკისრება.

10. შრომის ბირჟის კომიტეტს უფლება აქვს მეურნეობრვად მოღონიერებული საწარმო გადასცეს სამეურნეო ორგანოს ამ უკანასკნელთან შეთანხმებით.

11. ამა დადგენილების წესისამებრ მოწყობილ საწარმოს თუ კოლექტივს იმ ხნის განმავლობაში, რაც იგი შრომის ბირჟის განკარგულებაში იმყოფება, გარდა ს. ს. რესპუბლიკების კავშირის ცენტრალური აღმასრ. კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1924 წლის ნოემბრის 28-ს დადგენილებით გათვალისწინებული შეღავათისა. ეძლევა აგრეთვე შემდეგი შეღავათი:

ა) მიცემული სადგომებისა და კომუნალური მომსახურეობის სასყიდლის გასტუმრების სფეროში იგი გაუთანასწორდება სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფ სახელმწიფო ორგანოებს;

ბ) განთავისუფლდება სოციალური დაზღვევისათვის არსებული გადასახადისაგან; ამასთანავე კოლექტივის მონაწილეს აქვს დაზღვეულის ყველა უფლება ყოველგვარი დაზღვევის სფეროში.

12. ფარგლები შრომის კანონთა კოდექსის კავრცელებისა კოლექტივის მონაწილეებზე და აგრეთვე ყველა იმ პირზე, ვინც საწარმოთა მომსახურეობას ეწევა,—დამყარდება ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის შრომის სახალხო კომისარიატის დადგენილებით, რომელი დადგენილებაც გამოცემულ იქნება ა/კ. პროფ. კავშირთა საბჭოსთან შეთანხმებით.

ამა დადგენილების შეფარდების წესი განისაზღვრება ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის შრომის სახალხო კომისარიატის ცირკულიარებით და ინსტრუქციებით.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **ს. ხანოიანი.**

ამიერკავკასიის ს. ფ. ს. რესპუბლიკის
სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

ტფილისი—სასახლე. 1925-წლის ივლისის 13

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 934 №-ში 1925 წ. ივლისის 24-ს

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 48 ა/ბ. ს. ფ. ს. რ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატისა.

1925 წ. ივლისის 23.

468. საშენი წითელი აგურის უკიდურესი საგასაცემო ფასის დაწესების შესახებ.

„შინა ვაჭრობის სახალხო კომისარიატის დროებითი დებულების შესახებ“ ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ 1924 წ. ივნისის 26 თარიღით გამოცემული დადგენილების მე-3 მუხ. „გ“ პუნქტის თანახმად ა/კ. ს. ფ. ს. რ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატი ადგენს:

1. დაწესებულ იქნეს მტკიცე საბითუმო უკიდურესი ფასი აგურზე ფრანკო—საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. აგურხანები, როგორც სახელმწიფო ორგანოსა და კოოპერატიული ორგანიზაციისათვის, ისე კერძო პირთათვის:

1-ლი ხარისხის აგური-1000 ცალი 28 მან.

მე-2 ხარისხის აგური-1000 ცალი 25 მან.

2. ა/კ. ს. ფ. ს. რ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის ყველა ადგილობრივ ორგანომ საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკაში უნდა იქონიოს მეთვალყურეობა ამა დადგენილების სისწორით აღსრულებისათვის.

3. ამა დადგენილების დარღვევისათვის დამნაშავე პასუხს აგებს საქართველოს ს. ს. რ. სისხლის სამართლის კოდექსისამებრ, როგორც შინა-ვაჭრობის წესების დარღვევისათვის.

4. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

ამიერკავკასიის შინა-ვაჭრობის
სახალხო კომისრის მოადგილე **გამყრელიძე.**

მოწესრიგების სამმართველოს უფროსი **სტეფანიანი.**

საქმეთა მმართველი **აბესაძე.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვასტოკა“ს 935 №-ში 1925 წ. ივლისის 25-ს.

დადგენილება № 49 ა/ბ. ს. ფ. ს. რ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატისა.

1925 წლის ივლისის 23.

469. ადგილობრივ და საზღვარგარეთიდან შემოტანილ ჩაიზე საბითუმო და ცალობითი (საეტიკეტო) ფასების დაწესების შესახებ.

„ა/კ. ს. ფ. ს. რ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის დროებითი დებულების“ შესახებ ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიერ 1924 წლის ივნისის 26-ს თარიღით გამოცემული დადგენილების მე-3 მუხ. „გ“ პ. თანახმად—ა/კ. ს. ფ. ს. რ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატი ადგენს:

1. დაწესებულ იქნეს, რომ ყველა, წონად დანაწილებული, ადგილობრივი წარმოების ჩაი, აგრეთვე უცხოეთის „ბაიხოვი“ შაი ჩაი უნდა იყიდებოდეს მთლად ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. ტერიტორიაზე საეტიკეტო წონა სახვევში, რაზედაც აღნიშნული უნდა იყოს: ა) წონა, ბ) ფირმა, გ) ხარისხი, დ) ჩაის ფასი და ე) წარწერა „ეტიკეტზე აღნიშნულ ფასზე ძვირად გაყიდვა ჩაისა დაისჯება კანონით“.

შენიშვნა. უკეთუ ძველ სახვევზე აღნიშნული არ იქნება ყველა ზემოაღნიშნული ნიშანი, იგი შეიძლება შევსებულ იქნეს სათანადო შტემპელის დასმით სახვევზე.

2. დაწესებულ იქნეს მთლად ა/კ. ს. ფ. ს. რ. ტერიტორიაზე შემდეგი უკიდურესი ცალობითი (საეტიკეტო) ფასები 400 გრამ (1 გირვ.) ჩაისათვის ხარისხობით.

	საზღვარგარ. შემოტანილ, ჩაის სამმართვ., ცენტრკავშ. და ა/კ. სახ. ვაჭრ. მიერ წონად დანაწილებული ჩაისთვის.	ადგილობრივი, საქართვ. სახელმწ. ვაჭრობისა და საქართვ. ს. ს. რ. მიწათმოქმედ. სახალხო მამულებ. ტრესტის მიერ წონად დანაწ. ჩაისთვის.
უმაღლესი ხარისხი	3 მან. და 60 კაპ.	2 მან.
1-ლი ხარისხი . .	2 მან. და 72 კაპ.	1 მან. და 40 კაპ.
მე-2 ხარისხი . .	2 მან. და 08 კაპ.	1 მან.
ნაფშვნევი . . .	—	— 50 კაპ.

შენიშვნა 1. უცხოეთის „ბაიხოვი“ შაი ჩაი ხარისხებზე შემდეგნაირად დანაწილდება:

უმაღლესი ხარისხი: ა) ჩაის სამმართველოს ჩაი მე-40 №-რი საგანგებო შეკვეთით, 42, 62, 95 და 105 №№.
ბ) ცენტრ-კავშირის ჩაი—ჩინეთისა, მოყვარულთათვის, ცეილონისა და ინდოეთისა.
გ) ა/კ. სახ. ვაჭრ. ჩაი—„უმაღლესი ხარისხისა“.

პირველი ხარისხი: ა) ჩაის სამმართველოს ჩაი მე-10, 40-ყვავილით, 60 და 64 №№
ბ) ცენტრ-კავშ. ჩაი—ჩინეთისა 1-ლი №-რი.
გ) ა/კ. სახელ. ვაჭრ.—„პირველი ხარისხისა“.

მეორე ხარისხი: ა) ჩაის სამმართველოს ჩაი მე-20, 30, 50, 66, და 80 №№.
ბ) ცენტრ.-კავშირის ჩაი—ჩინეთისა მე-2 №-რი.

შენიშვნა 2. უკეთუ წონა-სახვევში 400 გრამზე (1 გირვ.) ნაკლები ჩაია, მისი ფასი ამრიგად განისაზღვრება: 400 გრამის (1 გირვ.) წონის ფასი უნდა გაიყოს ამ წონის სათანადო წვლილის რაოდენობაზე, თვინიერ შემდგომი ზედნართის მიმატებისა მცირე წონა-სახვეიან ჩაიზე; ხოლო კაპიკის წვლილი სრულ კაპეიკად უნდა ჩაითვალოს.

3. დაწესებულ იქნეს, რომ ადგილობრივი და უცხოეთის „ბაიხოვი“ შაი, წონად დანაწილებული ჩაის ფასი ფრანკო—გამყიდველის საწყობი—განისაზღ-

№ 7. ეროვნული ბიბლიოთეკა

ვრება ამა დადგენილების მე-2 მუხ. აღნიშნულ საეტიკეტო ცალობითი ფასებზე შემდეგ მონაკლებთა დაწესებით:

ა) ჩაის სამმართველოს და ცენტრ.-კავშ. მიერ წონად დანაწილებულ უცხოეთის შავ ჩაიზე და საქართ. სახ. ვაჭრ. და საქართვ. ს. ს. რ. მიწათმოქმედ. სახ. კომისარ. სახალხო მამულების ტრესტის მიერ წონად დანაწილებულ ადგილობრივ ჩაიზე—16,66%-ს რაოდენობით;

ბ) ა/კ. სახ. ვაჭრობის მიერ წონად დანაწილებულ უცხოეთის ჩაიზე (ამ დადგენილების გამოცემამდე შემოტანილზე) შემდეგი რაოდენობით:

	სახელმწ. ვაჭრობისათვის და კოოპერაც-სათვის.	კერძო პირთათვის.
უმაღლეს ხარისხზე	15%	10%
პირველ „	8%	4%

ამასთანავე საბითუმო ფასი 400 გრამ (1 გირვ.) ჩაიზე არ უნდა აღემატებოდეს შემდეგ რაოდენობას:

	გ) ჩაის სამმართველოს და ცენტრ-კავშირის მიერ წონად დანაწილებულ უცხოეთის ჩაიზე:	საქართველოს სახ. ვაჭრ. და საქ ს. ს. რ. მიწათმოქმ. სახ. კომისარ. სახალხო მამულ. ტრესტის მიერ. წონად დანაწილებულ ადგილობრივ ჩაიზე.
უმაღლესი ხარისხი .	3 მან.	1 მან. და 66 კაპ.
1-ლი ხარისხი . .	2 მან. და 27 კაპ.	1 მან. და 16 კაპ.
მე-2 ხარისხი . . .	1 მან. და 74 კაპ.	83 კაპ.
ნაფშვენი	—	41 კაპ.

დ) ა/კ. სახელ. ვაჭრ. მიერ წონად დანაწილებულ უცხოეთის ჩაიზე:

სახელმწ. ვაჭრ. და კოოპერაციისათვის	კერძო პირთათვის
უმაღლესი ხარისხი—3 მან. და 06 კაპ.	3 მან. და 24 კაპ.
1-ლი ხარისხი—2 მან. და 50 კაპ.	2 მან. და 62 კაპ.

შენიშვნა. აღნიშნული უკიდურესი ფასები გავრცელდება პარტიობით გაყიდვაზედაც, 60 კილოგრ. დაწყებული და მეტიც.

4. ცალობითი გაყიდვა სახელმწიფო და კოოპერატიული ორგანიზაციებისა და კერძო პირების მიერ ზემოდ დასახელებულ ჩაისა, ამა დადგენილების 1-ლ მუხლში და მის შენიშვნაში აწერილ ნიშნების აღუნიშვნელად, აკრძალულია ა/წ. აგვისტოს 1-დან.

5. ამა დადგენილებით გაუქმებულია ა/კ. ს. ფ. ს. რ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის 1924 წლის ნოემბრის 17-ს თარიღისა და მე-19 №-რის დადგენილება.

6. ა. კ. ს. ფ. ს. რ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულებმა ა/კ ს. ფ. ს. რ-ში შემავალ რესპუბლიკებში უნდა იქონიონ მეთვალყურეობა ამა დადგენილების სისწორით აღსრულებისათვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

7. ამა დადგენილების დარღვევისათვის დამნაშავე პასუხს აგებს სათანადო რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსისამებრ, როგორც შინა-ვაჭრობის წესების დარღვევისათვის.

8. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა

ა/კ. ს. ფ. ს. რ. შინა-ვაჭრობის სახალხო
კომისრის მოადგილე **გამყრელიძე.**

მოწესრიგების სამმართველოს უფროსი **სტეფანიანი**

საქმეთა მმართველი **აბესაძე.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 936 №-ში 1925 წ. ივლისის 26-ს.

დადგენილება № 38 ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოსი.

470. იმ ქალაქთა ნუსხის შესახებ, რომელთათვისაც ადგილობრივი გადასახადებისა და გამოსაღების უკიდურესი განკვეთი დაწესებულია გადიდებული რაოდენობით.

1925 წ. აპრილის 11-ს თარიღისა და 848 №-რის „ზარია ვასტოკა"-ში გამოქვეყნებული მე-11 №-რის დადგენილების დასამატებლად, რომელი დადგენილებითაც განსაზღვრულია ნუსხა იმ ქალაქებისა, სადაც სატვირთო გადასახადის უკიდურესი განაკვეთი დაწესებულია გადიდებული რაოდენობით (კან. კრ. 1925 წ. მე-4 №-რის 399 მუხ.), ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ქალაქ ტფილისსა და ბაქოსათვის ადგილობრივი გადასახადებისა და გამოსაღების უმაღლესი უკიდურესი განაკვეთი დაწესებულ იქნეს იმ რაოდენობით, რაც განსაზღვრულია დიდი ქალაქებისათვის „ადგილობრივი ფინანსების დროებითი დებულების" 104 მუხლის დანართში.

2. „ადგილობრივი ფინანსების დროებითი დებულების" 64 და 65 მუხ. წესისამებრ გადასახდევინებელი ერთგზობითი გამოსაღების უკიდურესი რაოდენობა დაწესებულ იქნეს ქალაქ ტფილისსა და ბაქოსათვის ამ ქალაქების მე-3 კატეგორიის სავაჭრო საწარმოთათვის არსებული ნახევარწლის პატენტის სახელმწიფო ფასის 2%-ს რაოდენობით.

3. უკიდურესი რაოდენობა სასმელებისა და თამბაქოს ნაკეთობის გაყიდვის უფლებისათვის (37 მუხლის „გ" პუნქტის შენიშვნა) გასაცემი პატენტის ზედნართისა დაწესებულ იქნეს იმავე ქალაქებისათვის ამგვარი პატენტების სახელმწიფო ფასის 200%-ს რაოდენობით.

ა/კ. ს. ფ. ს, რ. სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი**

ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველის თან. დრ. აღმ. **ნ. სოკოლსკი.**

ტფილისი—სასახლე. 1925 წ. ივლისის 16.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 938 №-ში 1925 წ ივლისის. 30-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 39 ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოსი.

471. სავალდებულო საგადანაკვეთო დაზღვევის თაობაზე გამოცემული დეკრეტის შევლის შესახებ.

ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

მე-6 მუხლი ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს 1924 წლის ნოემბრის 27-ს თარიღისა და 63 №-რის დეკრეტისა (ა/კ. ს. ფ. ს. რ. კან. კრებ. 1924 წ. მე-9 №-რი, მუხ. 296) „ა/კ. ს. ფ. ს. რ. ქალაქებში სავალდებულო საგადანაკვეთო დაზღვევის შესახებ 1924—1925 წლისათვის“ შეიცვალოს შემდეგი რედაქციით:

„სადასაზღვევო სასყიდელი შეტანილ უნდა იქნეს სახელმწიფო დაზღვევის ადგილობრივ სააგენტოში და კონტორაში 1925 წ. ივლისის 31-დე. 1925 წ. ივლისის 31-დე გადაუხდელი სასყიდელი ჩაირიცხება ნარჩენად და გადახდევინებულ უნდა იქნეს ადმინისტრატიული წესით.

ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველის თან. დრ. აღმ. **ნ. სოკოლსკი.**

ტფილისი—სასახლე. 1925 წ. ივლისის 16.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 938 №-ში 1925 წ. ივლისის 30-ს.

დადგენილება № 50 ა/კ. ს. ფ. ს. რ. შინა-ვაჭროგის სახალხო კომისარიატისა.

1925 წ. ივლისის 30.

472. ნავთის პროდუქტების ფასის შესახებ.

„შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის დროებითი დებულების შესახებ“ ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ 1924 წ. ივნისის 26-ს თარიღით გამოცემული დადგენილების მე-3 მუხ. ლიტ. „გ“ თანახმად ა/კ. ს. ფ. ს. რ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატი ადგენს:

დაწესებულ იქნეს შემდეგი ფასები კეროსინზე, ბენზინზე, მანქანის ზეთზე და ცილინდრის ზეთზე.

I. საქართველოში.

ა) საგასაცემო საბითუმო ფასი სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს საქართველოს სახელმწიფო სათბობი მასალის განყოფილებისა ფრანკო—ტფილისისა და ნავთლუღის საწყობი.

1. კეროსინი—1 მან. და 25 კაპ. ფუთზე სახელმწიფო და კოოპერატიულ დაწესებულებისთვის და 1 მან. და 28 კაპ. ფუთზე კერძო ვაჭრობისათვის.

2. ბენზინი—4 მან. და 44 კაპ. ფუთზე.

3. მანქანის ზეთი—2 მან. და 93 კაპ. ფუთზე.

4. ცილინდრის ზეთი—3 მან. და 86 კაპ. ფულზე.

5. ცალობითი ფასი კეროსინზე საქართველოს სახელმწიფო სათბობი მასალის განყოფილების ყველა დუქნისათვის ტფილისში—1 მან. 55 კაპ. ფუთზე, ხოლო გირვ. 4 კაპ.

ბ) საგასაცემო საბითუმო ფასი სახ. მეურნ. უმაღ. საბჭოს საქ. სახელ. სათბობი მასალის განყოფილებისა ფრანკო-ტფილისი-ცისტერნა:

1. ბენზინი—4 მან. და 24 ფუთზე.

2. მანქანის ზეთი—2 მან. და 85 კაპ. ფუთზე.

3. ცილინდრის ზეთი—3 მან. და 74 კაპ. ფუთზე.

გ) საგასაცემო საბითუმო ფასი სახ. მეურნ. უმაღ. საბჭოს საქართვ. სახელ. სათბობი მასალის განყოფილებისა ფრანკო—ბათუმი-ცისტერნა:

1. კეროსინი—1 მან. და 25 კაპ. ფუთზე სახელმწიფო და კოოპერატიულ დაწესებულებათათვის და 1 მან და 27 კაპ. ფუთზე—კერძო ვაჭრობისათვის.

2. ბენზინი—4 მან. და 58 კაპ. ფუთზე.

3. მანქანის ზეთი—3 მან და 19 კაპ. ფუთზე.

4. ცილინდრის ზეთი—4 მან. და 09 კაპ. ფუთზე.

დ) საგასაცემო საბითუმო ფასი სახ. მეურნ. უმ. საბჭოს საქართველოს სახ. სათბობი მასალის განყოფილებისა ფრანკო—ჭიათურა:

1. მანქანის ზეთი—3 მან. და 16 კაპ. ფუთზე.

2. ცილინდრის ზეთი—4 მან. და 01 კაპ. ფუთზე.

ე) საგასაცემო საბითუმო ფასი სახ. მეურ. უმ. საბჭოს საქართვ. სახ. სათბობი მასალის განყოფილებისა ფრანკო-ბორჯომი ცისტერნა:

1. ბენზინი—4 მან. და 45 კაპ. ფუთზე.

ვ) საგასაცემო საბითუმო ფასი სახ. მეურ. უმ. საბჭოს საქართვ. სახ. სათბობი მასალის განყოფილებისა ფრანკო-ქუთაისი-ცისტერნა:

1. ბენზინი—4 მან. და 54 კაპ. ფუთზე.

2. მანქანის ზეთი—3 მან და 15 კაპ. ფუთზე.

ზ) საგასაცემო საბითუმო ფასი საქართვ. სახ სათბობი მასალის განყოფილებისა ფრანკო-ფოთი-პორტი:

1. ბენზინი—4 მან. და 57 კაპ. ფუთზე.

2. მანქანის ზეთი—3 მან. და 18 კაპ. ფუთზე.

№ 7. ეროვნული ბიბლიოთეკა

თ) საგასაცემო საბითუმო ფასი საქართვ. სახ. საობობი მასალის განყოფილებისა კეროსინზე ფრანკო-ცისტერნა, რომელი სადგურიც უნდა იყოს საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ტერიტორიაზე სახელმწიფო და კოოპერ. დაწესებულებათათვის—1 მან. და 31 კაპ. ფუთზე და 1 მან 33 კაპ. კერძო ვაჭრობისათვის.

ი) საგასაცემო საბითუმო ფასი სახელმწიფო და კოოპერატიული დაწესებულებისა კეროსინზე ფრანკო-ცისტერნას, რომელი სადგურიც უნდა იყოს საქართველოს ს. ს. რ. ს. ტერიტორიაზე დაბალი საფეხურის კოოპერაციისა და სახელმწიფო ორგანოებისათვის—1 მან. და 36 კაპ. ფუთზე.

კ) საგასაცემო საბითუმო ფასი სახელმწიფო და კოოპერატიული დაწესებულებებისა კეროსინზე თავიანთ საწყობებში რკინის გზის სადგურზე დაბალი საფეხურის კოოპერაციისა და სახელმწიფო ორგანოებისათვის—1 მან. და 44 კაპ. ფუთზე, ხოლო კერძო ვაჭრობისათვის—1 მან. და 47 კაპ.

ლ) ცალობითი ფასები კეროსინზე ყველა კოოპერატიულ დუქანში იმ ქალაქებსა და ადგილებში, რომელნიც მდებარეობენ რკინის გზის სადგურთან, ბათუმის გამოკლებით,—1 მან. და 60 კაპ. ფუთზე (გირვანქობით 4 კაპ.).

მ) ბათუმში საგასაცემო ფასი კეროსინზე ფრანკო-სახელმწიფო ვაჭრობის საწყობი—1 მან. 29 კაპ. ფუთზე სახელმწიფო და კოოპერატიული დიწესებულებისთვის და 1 მან. და 31 კაპ. კერძო ვაჭრობისთვის.

ნ) კეროსინის ცალობითი გაყიდვა დანარჩენ ადგილებში (ტფილისისა და ბორჩალოს მაზრების გამოკლებით) კოოპერატივებმა უნდა აწარმოონ: იმ ადგილას, რომელიც მდებარეობს უახლოეს საგასაცემო საწყობიდან (რკინ. გზ. სადგ.) შემდეგ მანძილზე:

რაოდენობა	**10 ვერსამდე,**	**25 ვერ-დე,**	**50 ვერ-დე**	**100 ვერ-მდე.**
1 ფუთი	1 მან. და 80. კ.	2 მან,	2 მ. და 20 კ.	2 მ. და 60 კაპ.
1 გირ.	4,5 კაპ.	5 კაპ.	5,5 კაპ.	6,5 კაპ.

ო) კეროსინის ცალობითი გაყიდვა ტფილისისა და ბორჩალოს მაზრებში კოოპერატივებმა უნდა აწარმოონ: იმ ადგილას, რომელიც მდებარეობს უახლოეს საგასაცემო საწყობიდან (რკ. გზ. სადგ.) შემდეგ მანძილზე:

რაოდენობა	**10 ვერსამდე,**	**25 ვერ-დე.**	**50 ვერ-დე.**	**100 ვერ-მდე.**
1 ფუთი	1 მ. და 60 კ.	1 მ. და 80 კ.	2 მან.	2 მან. და 40 კაპ
1 გირ.	4 კაპ.	4,5 კაპ.	5 კაპ.	6 კაპ.

II. სომხეთში.

ა) საგასაცემო საბითუმო ფასი სომხეთის ს. ს. რ. სახ. მეურ. უმაღ. საბჭოსი ფრანკო—ერევანი-საწყობი:

1. კეროსინი—1 მან. და 47 კაპ. ფუთზე სახელმწიფო და კოოპერატიულ დაწესებულბათათვის და 1 მან. და 50 კაპ. ფუთზე—კერძო ვაჭრობისათვის.

2. ბენზინი—1 მან. 46 კაპ. ფუთზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. მანქანის ზეთი —2 მან. 96 კაპ. ფუთზე.

4. ცილინდრის ზეთი—3 მან. 87 კაპ. ფუთზე.

ბ) საგასაცემო საბითუმო ფასი სომხეთის ს. ს. რ. სახ. მეურნ. უმაღლესი საბჭოსი ფრანკო—ერევანი-ცისტერნა:

1. კეროსინი—1 მან. და 42 კაპ. ფუთზე სახელმწიფო და კოოპერატიულ დაწესებულებათათვის და 1 მან და 45 კაპ. ფუთზე კერძო ვაჭრობისათვის.

2. ბენზინი—4 მან. და 27 კაპ. ფუთზე.

3. მანქანის ზეთი—2 მან. 88 კაპ. ფუთზე.

4. ცილინდრის ზეთი—3 მან. 77 კაპ. ფუთზე.

III. დაევალოს ამიერკავკასიის შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულს სომხეთის ს. ს. რ-ში—დააწესოს იმავე პროდუქტებზე სომხეთის ს. ს. რ. სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს ფასები ცისტერნებით გაცემისთვის პროვინციალურ საწყობებიდან რკინისგზის სადგურებზე, რისთვისაც უნდა იხელმწღვანელოს ამიერკავკასიის შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის დირექტივები.

IV. დაევალოს ამიერკავკასიის შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულს აზერბაიჯანის ს. ს. რ-ში—დააწესოს იმავე მასალაზე საგასაცემო ფასები მთლად აზერბაიჯანის ს. ს. რ-ს ტერიტორიისათვის, რისთვისაც უნდა იხელმძღვანელოს ამიერკავკასიის შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის დირექტივები.

V. დაევალოს შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულს აჭარისტანის ს. ს. რ-ში—დააწესოს ცალობითი ფასები სახელმწიფო და კოოპერატიულ დაწესებულებათათვის, რისთვისაც უნდა იხელმძღვანელოს ამიერკავკასიის შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის დირექტივები.

VI. ამა დადგენილების დარღვევისათვის დამნაშავე პასუხს აგებს სათანადო რესპუბლიკის სისლის სამართლის კოდექსისამებრ, როგორც შინა-ვაჭრობის წესების დარღვევისათვის.

VII. ამა დადგენილებით გაუქმებულია ამავე საკითხზე წინად გამოცემული ყველა დადგენილება.

VIII. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

ა/კ. ს. ფ. ს. რ. შინა-ვაჭრობის
სახალხო კომისრის მოადგილე **გამყრელიძე.**

მოწესრიგების სამმართველოს უფროსი **სტეფანიანი.**

ა/კ. ს. ფ. ს. რ. შინა-ვაჭრობის
სახალხო კომისარიატის საქმეთა მმართველი **ეირანოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 939 №-ში 1925 წ. ივლისის 31-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინსტრუქცია ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოსი.

473. ტერიტორიალური ნაწილების ცვალებადი შედგენილობის წითელარმიელთა და საგასაწვეო ასაკ-მიუღწეველთა (წვევამდედთა) შორის წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის შესახებ ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ გამოცემული დადგენილების შეფარდებისათვის.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ—ტერიტორიალური ნაწილების ცვალებადი შედგენილობის წითელარმიელთა და საგასაწვეო ასაკ-მიუღწეველთა შორის წერაკითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის შესახებ—1925 წლის იანვრის 5 თარიღით გამოცემული (ა/კ. ს. ფ. ს. რ. კან. კრებ. 1925 წ. 1-ლი №-რი, მუხ. 325) დადგენილების მე-3 მუხ. თანახმად—ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭო ამყარებს შემდეგ წესს ზემოაღნიშნული დადგენილების შეფარდებისათვის:

კ ა რ ი ი.

ზოგადი დებულებანი

1. წერა-კათხვის სწავლება სავალდებულოა ტერიტორიალური ნაწილების ყველა, წერა-კითხვის უცოდინარი, საგასაწვეო ასაკ-მიუღწეველი პირისა (წვევამდედის) და წითელარმიელისათვის; ამასთანავე საგასაწვეო ასაკ-მიუღწეველისათვის (წვევამდედისათვის) წერა-კითხვის სწავლება არის ნაწილი ჯარში გაწვევამდე მომზადებისა, რომლის დამთავრებაც ჩაეთვლება მხოლოდ იმ პირს, ვინც გაიარა არა მარტო სამხედრო სწავლება და შეითვისა პოლიტიკური ანბანი, არამედ შეისწავლა აგრეთვე სამშობლო ენაზე წერა და კითხვა.

2. მუშაობა წვევამდედთა შორის წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისათვის უნდა სწარმოებდეს იმ ანგარიშით, რომ იგი დამთავრებულ იქნეს განსაზღვრულ ვადაზე. ამისთანა ვადად უფროსი წლიანების მოსწავლეთათვის არის იმ წლის მაისის 1-ლი, როდესაც იგი გაიწვევა არმიაში.

წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია ტერიტორიალური ნაწილების ცვალებადი შედგენილობის წითელარმიელთა შორის სწარმოებს იმ ვადაზე, რაც დადგენილ იქნება რესპუბლიკის პოლიტიკური განათლების მთავარი სამმართველოს შეთანხმებით იმ დივიზიის პოლიტიკურ განყოფილებასთან, რომლის შედგენილობაშიაც შედის ტერიტორიალური ნაწილი.

მუნიციპალური ბიბლიოთეკა

კ ა რ ი II

მუშაობის ხელმძღვანელი ორგანოები.

3. წვევამდედთა და ტერიტორიალური ნაწილების ცვალებადი შედგენილობის წითელარმიელთა შორის წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის მიზნით წარმოებული მუშაობის ხელმძღვანელობისთვის ა/კ. ს. ფ. ს. რ-ს მასშტაბით მოეწყობა მუდმივი თათბირი, რომელშიაც შევლენ: თავმჯდომარე— ა/კ. ცენტრ. აღმ. კ-ტის წარმომადგენელი და წევრნი—რუს. კომ. პარტიის ამიერკავკასიის საოლქო კომიტეტისა და რუსეთის ლენინელთა ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირისა, ამიერკავკასიის პროფესიონალურ კავშირთა საბჭოსი, კავკასიის წეთელდროშიანი არმიის შტაბისა და პოლიტიკური სამმართველოს წარმომადგეიელნი.

4. ა/კ. ს. ფ. ს. რ-ში შემავალ ცალკე რესპუბლიკებში მუშაობის ხელმძღვანელობისათვის მოეწყობა კომისიები, რომელშიაც შევლენ: თავმჯდომარე—პოლიტიკური განათლების მთავარი სამმართველოს თავმჯდომარე და წევრნი—რესპუბლიკის სამხედრო კომისარიატისა, ლენინელთა ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის ცენტრალური კომიტეტისა, განათლების მუშაკთა ცენტრალური გამგეობისა, ნაციონალური დივიზიის პოლიტიკური განყოფილებისა და პოლიტიკური განათლების მთავარი სამმართველოს სკოლებისა და კურსების განყოფილების გამგე (თავმჯდომარის მოადგილე).

5. იმ ქალაქში, რომელიც მაზრის ცენტრია, სახალხო განათლების განყოფილებასთან მოეწყობა სამაზრო-საქალაქო კომისია, რომელშიც შევლენ: თავმჯდომარედ სახალხო განათლების განყოფილების გამგე და წევრებად: აღმასრულებელი კომიტეტის წარმომადგენელი, პოლიტიკური განათლნბის განყოფილების გამგე, ლენინელთა ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის მდივანი, განათლების მუშაკთა კავშირის რწმუნებული, სამაზრო სამხედრო კომისარი და ამ ქალაქში მყოფი ტერიტორიალური ნაწილის უფროსი პოლიტიკური მომუშავე.

6. უბანში (თემში, დაირში) მოეწყობა კომისია, რომელშიაც შევლენ: თავმჯოომრედ უბნის აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე (თემის აღმ. კომ. თავმჯდ. დაირის აღმ. კომ. თავ.) და წევრნი: კომუნ. პარტიის (ბოლშ.) სარაიონო კომ. მდივანი, ლენინელთა ახალგაზრდობის კომ. კავშირის მდივანი, განათლების მუშაკთა რწმუნებული, უბანში (თემში და დაირში) შემავალი სოფლის საბჭოთა წარმომადგენელნი და ტერიტორიალური ნაწილის წარმომადგენელი.

7. ამა ინსტრუქციის მე-3 და 4 მუხ. აღნიშნული კომისიები შეადგენენ წვევამდედითა და ტერიტორიალური ნაწილების ცვალებადი შედგენილობის წითელარმიელთა შორის წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის გეგმას, ხელმძღვანელობას გაუწევენ მუშაობას, მოისმენენ ქვემდგომ კომისიებისაგან მათ მიერ გაწეული მუშაობისა და მიმდინარე მუშაობის მდგომარეობის ანგარიშს.

8. სამაზრო-საქალაქო და საუბნო (სათემო, სადაირო) კომისიები (5 და 6 მუხ.) შეასრულებენ რესპუბლიკანური კომისიის მიერ დავალებულ საქმეს.

ამას გარდა, სამაზრო-საქალაქო კომისია აძლევს განკარგულებას საუბნო (სათემო, და სადაირო) კომისიას რესპუბლიკანური კომისიის საერთო გეგმისა და სხვა დირექტივების საფუძველზე, და აგრეთვე კონტროლს გაუწევს საუბნო (სათემო, სადაირო) კომისიის მოქმედებას.

9. მე-3-6 მუხ. აღნიშნულ კომისიებს არავითარი შტატი არა ჰყავთ და თავისი მუშაობისათვის გამოიყენებენ იმ დაწესებულების აპარატს, რომლის წარმომადგენელიც თავმჯდომარეა კომისიისა.

კარი III.

10. წერა-კითხვის არმცოდნედ ჩაითვლება ის წვევამდედი და ტერიტორიალური ნაწილის ცვალებადი შედგენილობის წითელარმიელი, რომელმაც წერა და კითხვა არ იცის და არ შეუძლიან წერით ანგარიშის გამოყვანა პირველი ორი არითმეტიკული მოქმედების (შეერთება და გამოკლება) ფარგალში.

11. საუბნო (სათემო, სადაირო) კომისიის თავმჯდომარე, აღმასრულებელი კომიტეტის სამხედრო მაგიდის მეშვეობით და უბანში (თემში, დაირში) შემავალი სოფლების საბჭოთა თავმდომარეების დახმარებით, შეადგენს, პოლიტიკური განათლების ორგანოების ხელშეწყობით, ორ ცალად, ამასთანავე დართული 1-ლი №-რის ფორმის მიხედვით, წერა-კითხვის არმცოდნე წვევამდედთა სახელობითი სიას სოფლობრივ. ერთი ცალი სია ინახება საუბნო (სათემო, სადაირო) კომისიაში, ხოლო მეორე ცალი გაეგზავნება სამაზრო საქალაქო კომისიას. ქალაქად სიას შეადგენს სამაზრო-საქალაქო კომისია ამასთანავე დართული 1-ა №-რის ფორმის მიხედვით.

იმავე წესით საუბნო (სათემო, სადაირო) კომისიის თავმჯდომარე—უბანში (თემში, დაირში) და სამაზრო საქალაქო კომისიის თივმჯდომარე—ქალაქად შეადგენს და გაჰგზავნის ტერიტორიალური ნაწილების ცვალებადი შედგენილდბას წერა-კითხვის არმცოდნე წითელარმიელთა სიას ამასთანავე დართული 1-ბ №-რის ფორმის მიხედვით.

შენიშვნა. ისეთი უბანი (თემი, დაირი) და ქალაქი, რომელიც სამაზრო ცენტრი არ არის, აღნიშნულ სიებს წარადგენს სამაზრო-საქალაქო კომისიაში ყოველწლივ არა უგვიანეს ოქტომბრის 10-სა.

12. სამაზრო-საქალაქო კომისია შეადგენს წერაკითხვის არმცოდნე წვევამდედთა ნუსხას ამასთანავე დართული მე-2 №-რის ფორმის მიხედვით ორ ცალად და ერთ ცალს წარუდგენს რესპუბლიკის პოლიტიკური განათლების მთავარ სამმართველოს, ხოლო მეორე ცალს—ნაციონალური დივიზიის სათანადო პოლიტიკურ განყოფილებას.

იმავე წესით სამაზრო-საქალაქო კომისია შეადგენს და გაჰგზავნის ტერიტორიალური ნაწილების ცვალებადი შედგენილობის წერა-კითხვის არმცოდნე წითელარმიელთა ნუსხას ამასთანავე დართული მე-2-ა №-რის ფორმის მიხედვით.

შენიშვნა. აღნიშნული ცნობები რესპუბლიკის პოლიტიკური განათლების მთავარ სამმართველოში და ნაციონალური დივიზიის პოლიტიკურ

ეროვნული ბიბლიოთეკა

განყოფილებაში წარდგენილ უნდა იქნეს ყოველწლივ არა უგვიანეს ოქტომბრის 25-სა.

13. ნაციონალური დივიზიის პოლიტიკური განყოფილება, რომელიც განაგებს ჯარში გაწვევამდე მომზადების საქმეს, შეადგენს შენაკრებ ნუსხას მე-3 №-რის ფორმის მიხედვით და გაუგზავნის ნოემბრის 1-თვის კავკასიის წითელ-დროშიანი არმიის პოლიტიკურ სამმართველოს.

კ ა რ ი IV.

მუშაობის ორგანიზაცია წვევამდეთა და ტერიტორიალური ნაწილების ცვალებადი შედგენილობის წითელარმიელთა შორის წერაკითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისათვის.

14. წერა-კითხვის უცოდინარ წვევამდედთა და ტერიტორილური ნაწილების ცვალებადი შედგენილობის წითელარმიელთა სწავლების მოწყობისათვის შეიძლება გამოყენებულ იქნეს, ადგილობრივ პირობათა მიხედვით, შემდეგი ღონისძიებანი:

ა) მიწერა წვევამდედისა და ტერიტორიალური წითელარმიელისა პოლიტიკური განათლების მთავარი სამმართველოს უკვე არსებული სალიკვიდაციო პუნქტზე;

ბ) ახალი სალიკვიდაციო პუნქტების მოწყობა წვევამდედთა და ტერიტორიალურ წითელარმიელთათვის.

15. წერა-კითხვის არმცოდნე წვევამდედთა და ტერიტორიალურ წითელარმიელთა განაწილებას სალიკვიდაციო პუნქტებზე მოახდენს სახალხო განათლების სამაზრო განყოფილება იმ ცნობების მიხედვით, რასაც სამაზრო-საქალაქო კომისია, მე-11 მუხლის თანახმად, მიიღებს საუბნო (სათემო, სადაირო) კომისიებისაგან. სახალხო განათლების სამაზრო განყოფილება, აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის ხელის მოწერით, მისცემს სათანადო განკარგულებას საუბნო (სათემო, სადაირო) კომისიების წარმომადგენელთ. ეს უკანასკნელი კომისიები, რომელთაც ექნებათ წერა-კითხვის არმცოდნე წვევამდედთა და ტერიტორიალურ წითელარმიელთა სიები 1-ლი, 1-ა 1-ბ №-ბის ფორმისა, მიაწერენ წვევამდედთა და ტერიტორიალურ წითელარმიელთ სალიკვიდაციო პუნქტებს ან მოაწყობენ ამ პუნქტებს სახალხო განათლების სამაზრო განყოფილების განკარგულებით.

მე-15 მუხ. აღნიშნული მუშაობა უნდა სწარმოებდეს იმ ანგარიშით, რომ იგი მთლად დამთავრებულ იქნეს ყოველი წლის ნოემბრის 1-ს.

16. მეცადინეობის დამთავრების შემდეგ გამომცდელი კომისიები მოახდენენ გამოცდას; გამომცდელი კომისია შესდგება იმ მასწავლებლისაგან, რომელიც სწავლებას აწარმოებდა, და სამაზრო ან საუბნო (სათემო, სადაირო) კომისიისა, კომუნისტური პარტიის (ბოლ.) ადგილობრივი ორგანიზაციისა, ლენინელ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირისა და ტერიტორიალური ნაწილის წარმომადგენელთაგან; გამოცდის შემდეგ მოხდება წერა-კითხვის სწავლადამთავრებულ წვევამდედთა და ტერიტორიალურ წითელარმიელთა გამოშვება ეს გამოშვება რაც შეიძლება ზეიმურად უნდა მოეწყოს, რისთვისაც გაერთიანებულ უნდა იქნეს მოსწავლეთა რამდენიმე ჯგუფი და თვით დღესასწაული უნდა გადახდილ იქნეს ადგილობრივ საბჭოთა, პარტიული და პროფესიონალური ორგანიზაციების პასუხისმგებელ წარამომაოგენელთა თანდასწრებით.

17. გამომცდელი კომისია შეადგენს გამოცდის სათანადო აქტს და საუბნო (სათემო, სადაირო) კომისიის თავმჯდომარის ხელმოწერით წარუდგენს სახალხო განათლების სამაზრო განყოფილებას.

მოსწავლე წვევამდედთა წიგნაკებში აღნიშნულ უნდა იქნეს სალიკვიდაციო პუნქტის დამთავრება

18. წერა-კითხვის უცოდინარობის რეციდივის თავიდან ასაცილებლად საჭიროა მიღებულ იქნეს ღონისძიება, რათა წვევამდედნი და ტერიტორიალური წითელარმიელნი დაუკავშირდნენ ქოხ-სამკითხველოს, ბიბლიოთეკას და სხვა, სკოლის გარეშე მომქმედ დაწესებულებას.

თ ა ვ ი V.

19. მუშაობის აღნუსხვას აწარმოებს ის პირი, რომელიც წერა-კითხვას ასწავლის; იგი წარუდგენს საუბნო (სათემო, სადაირო) კომისიას სათანადო ცნობას. ეს უკანასკნელი კომისია ჯამს გაუკეთებს მიღებულ ცნობებს უბნის (თემის, დაირის) მასშტაბით და ყოველთვე, არა უგვიანეს მე-5 რიცხვისა, წარუდგენს სამაზრო-საქალაქო კომისიას მე-4 №-რის ფორმით. სამაზრო-საქალაქო კომისია ჯამ-გაკეთებულ ცნობებს მაზრის მასშტაბით, იმავე მე-4 №-რის ფორმით, წარუდგენს რესპუბლიკანურ კომისიას თვითეული თვის 15-თვის.

20. ქალაქად წერა-კითხვის მასწავლებელნი აგრეთვე წარადგენენ საჭირო ცნობებს სამაზრო-საქალაქო კომისიაში. ეს ცნობები შეიტანება ყოველთვიურ საერთო ჯამიან ცნობებში, რომელსაც სამაზრო-საქალაქო კომისია უგზავნის ხოლმე რესპუბლიკანურ კომისიას (მუხ. 19).

21. რესპუბლიკის პოლიტიკური განათლების მთავარი სამმართველო შეადგენს საანგარიშო კრებულს მე-4 №-რის ფორმის მიხედვით და გაუგზავნის არა უგვიანეს თვითეული თვის 25 რიცხვისა ნაციონალური დივიზიის სათანადო პოლიტიკურ განყოფილებას. (საქართველოს ს. ს. რ-ს პოლიტიკური განათლების მთავარი სამმართველო—მე-2 ქართული დივიზიის პოლიტიკურ განყოფილებას).

22. ტერიტორიალური ნაწილების ცვალებადი შედგენილობის წითელარმიელთა შორის წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისთვის გაწეული მუშაობის აღნუსხვა სწარმოებს რესპუბლიკის პოლიტიკური განათლების მთავარი სამმართველოს და ნაციონალური დივიზიის პოლიტიკური განყოფილების შეთანხმების საფუძველზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲙᲐᲠᲘ VI.

პასუხისმგებლობა მუშაობის მსვლელობისათვის.

23. პასუხისმგებლობა მუშაობის საერთო მსვლელობისათვის დაეკისრება: რესპუბლიკის მასშტაბით—რესპუბლიკანურ კომისიას, მაზრაში—სამაზრო-საქალაქო კომისიას, ხოლო პერსონალურად—კომისიების თავმჯდომარეთ.

წვევამდედთა და ტერიტორიალურ ნაწილების ცვალებადი შედგენილობის წითელარმიელთა შორის წერაკითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისათვის წარმოებულ მუშაობაში მონაწილე უწყება და დაწესებულება პასუხს აგებს თვითეული თავისი მუშაობისათვის.

ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველის თან. დრ. აღმ. **ნ. სოკოლსკი.**

ტფილისი—სასახლე. 1925 წ. ივლისის 16.

ეროვნული ბიბლიოთეკა

.....ს. ს. რესპუბლიკა
.....მაზრა
.....უბანი (თემი, დაირი)
სოფელი .....

დანართი 1-ლი „ინსტრუქციის“ მე-III კარის მე-11 მუხ.

ფორმა 1.

ს ი ა

წერა-კითხვის არმცოდნე წვევამდედთა

№№ რიგზე	გვარი, სახელი დმ მამის სახელი.	დედა-ენა.	დაბადების წელი.	სწავლებისათვის სალიკვიდაციო პუნქტზე მიწერის ადგილი	სწავ. ვადა		აღნიშვნა სწავლის დამთავრებისა.	შენიშვნა.
					როდიდან.	როდემდე.		

კომისიის თავმჯდომარე
(უბნის (თემისა, დაირისა) აღმ. კომიტეტის თავმჯდომარე)

.....ს. ს. რესპუბლიკა
.....მაზრა
ქალაქი .....

დანართი მე-2 „ინსტრუქციის“ მე-III კარის მე-11 მუხლისა.

ფორმა № 1-ა.

ს ი ა

წერა-კითხვის არამცოდნე წვევამდედთა

ქალ. .....

№№ რიგზე.	გვარი, სახელი და მამის სახელი	დაბადების წელიწადი	მეუღლის ადგილი.	სწავლებისათვის სალიკვიდაციო პუნქტზე მიწერის ადგილი	სწავ. ვადა.		აღნიშვნა სწავლის დამთავრებისა.	შენიშვნა.
					როდიდან.	როდემდე.		

კომისიის თავმჯდომარე
(აღმ. კომიტ. თავმჯდომარე)

ეროვნული ბიბლიოთეკა

.....ს. ს. რესპუბლიკა
.....მაზრა
.....უბანი (თემი, დაირი)
სოფელი .....
(ან ქალაქი) .....

დანართი მე-3 „ინსტრუქციის“ მე-III კარის მე-11 მუხლისა.

ფორმა № 1.ბ.

ს ი ა

.....№-რის ტერიტორიალური ლეგიონის ცვალებადი შედგენილობის წერა-კითხვის არმცოდნე წითელარმიელთა.

№№ რიგზე	გვარი და სახელი	ასეულის №	ლეგიონის №	დაბადების წელიწადი	დედა-ენა	სალიკვიდაციო პუნქტზე მიწერის ადგილი.	სწავლების ვადა		აღნიშნა სწავლების დამთავრებისა.	შენიშვნა.
							როდიდან.	როდემდე.		

კომისიის თავმჯდომარე
(რაიონის აღმ. კომ. თავმჯდ.,
თემის აღმ. კომ. თავმჯდ., დაირის აღმ. კომ. თავმჯდ.)

.....ს. ს. რესპუბლიკა
.....მაზრა

დანართი მე-4 „ინსტრუქციის“ მე-III კარის მე-12 მუხლისა.

ფორმა № 2.

ც ნ ო ბ ა

წერა-კითხვის არმცოდნე წვევამდედთა რიცხვის შესახებ.....მაზრაში.

| №№ რიგზე | უბნის (თემის, დაირის) სახელწოდება | წერა - კითხვის არმცოდნე წვევამდედთა რიცხვი. ეროვნებით | | | | | | | | | |

ეროვნული ბიბლიოთეკა

.....ს. ს. რესპუბლიკა
.....მაზრა

დანართი მე-5 „ინსტრუქ-
ციის“ მე-III კარის მე-12
მუხლისა.

ფორმა № 2-ა

ცნობა

..... №-რის ტერიტორიალური ლეგიონის ცვალებადი შედგენილობის
წერა-კითხვის არმცოდნე წითელარმიელთა რიცხვის შესახებ.....მაზრაში.

| №№ რიგზ. | უბნის (თემის, დაირის) სახელ-წოდება | წერა-კითხვისა არმცოდნ. რიცხვი ეროვნებით. | | |

დანართი მე-7 „ინსტრუქ-
ციის“ მე-V კარის მე-20
მუხლისა.

ფორმა № 4.

.....ს. ს. რესპუბლიკა
.....მაზრა
უბანი (თემის დარი).....

ცნობა

.....ტერიტორიალური ლეგიონის ცვალებადი შედგენილების .....№-რის ასეულის წერა-კითხვის არმცოდნე წვევამდედთა და წითელარმიელთა შესახებ, რომელთაც დაამთავრეს სალიკვიდაციო პუნქტი 192 წ.....თვეს. .....მაზრის .....უბანში (თემში, დარში).

№№ რიგზე.	საფულების სახელწოდება (უბანი, თემი, დაირი)	წ ვ ე ვ ა მ დ ე დ ნ ი								ტერიტორიალური არმიელნი										შენიშვნა.
		სწავლობს				დაამთავრა				სწავლობს					დაამთავრა					
		190. წ.	190. წ.	190. წ.	სულ	190. წ.	190. წ.	190. წ.	სულ.	190. წ.	190. წ.	190. წ.	190. წ.	სულ	190. წ.	190. წ.	190. წ.	190. წ.	სულ	

საუბნო (სათემო, სადაირო) კომისიის თავმჯდომარე

(უბნის აღმ. კომ. თავმჯდ., თემის აღმ. კომ. თავმჯდ., დაირის აღმ. კომ. თავმმჯდ.)

ს. ს. ფ. მ. ს. პოლიგრაფტრესტის 1-ლი სტამბა, ალეხანოვის პრ. № 91.
მთავარლიტ № 1295. შეკვ. № —/165. დაიბეჭდა 1500.

მეუ. 473